

# დროშა

№ 3 მარტი 1962 წ.

619
1962
ეროვნული
ბიბლიოთეკა
29

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# სამყარო სიცოცხლით



ნაზი კილასონია

ოჰ, მარტის ქარი
ზუზუნებს გაბმით.
მესმის ეჟვნები
ღრუბელთ ქარავნის...
შენ უნდა მიყიდო ისეთი კაბა,
ხომ უნდა მიყიდო
ისეთი კაბა? —
თბილისში არ ეცვას არავის...
კაბას ცისფერი
ექნება ქობა,
კაბას ზღვისფერი ევლება ნაყში.
მე მომინდება მზისფერი ქოლგაც,
რა ვქნა,
მომინდება მზისფერი ქოლგა,
რაკი აპრილი დადგება კარში.
ჯერ კი ადრეა.
ქარი კანკალებს
და სიცხიანი თვალებით ვწევარ.
არ მინდა კაბა —
მინდა აკვანი
და შიგ შიშველი სიცოცხლის რწევა.
ასე ირწევა მთელი სამყაროც
ნუშის სანთლებით,
თეთრი მტრედებით...
ჩვენთვისაც მოდის რაღაც ახალი,
ჰქვია სიცოცხლე,
აღარ ვბერდებით.
ჩნდება მიზანი:
თეთრი დათვები,
ჭრელი ბურთები. კიდევ? — ჰოჰინა.
შენ სიხარულით, ვიცი, დათვრები,
მართლა დათვრები,
მე გაპატიებ ამას მორჩილად...
სველდება კვიპაროზი. ფუვდება აყალო,
ტყიდან ჩამოაქვთ ნამდვილი ია.
აკვანში გვერწევა
რძიანი სამყარო
და ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (128) მარტი, 1962 წ.
გამოცემის XII წელი.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



თათბირის მონაწილეები შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.

# იდეოლოგიური მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე

მოხსენებაში XXII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა:

„XX საუკუნე კომუნიზმის ტრიუმფულ გამარჯვებათა საუკუნეა. საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს პლანეტაზე მტკიცედ დამკვიდრდა სოციალიზმი, საუკუნის მეორე ნახევარში მასზე დამკვიდრდება კომუნიზმი. ამ გზას გვიჩვენებს ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტს“.

უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამომწურავ პასუხს, რომელსაც პროგრამა იძლევა კითხვაზე, რას ნიშნავს კომუნიზმის აშენება. ეს ნიშნავს, ნათქვამია პროგრამაში, გადავჭრათ სამი ერთიანი ამოცანა: შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩამოვაყალიბოთ კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, აღვზარდოთ კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული მშრომელნი. ამ სამი ურთიერთდაკავშირებული მთავარი ამოცანის ღრმა დახასიათება შეადგენს ახალი პროგრამის სულსა და გულს, და უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს მის დიად წვლილს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის შესვლის შემდეგ, ახალი პროგრამის მიღების შემდეგ იდეოლოგიური მუშაობა შედის ახალ ეტაპში. ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე ამოცანები იდეოლოგიის დარგში არასოდეს არ ყოფილა ასე პასუხსაგები დასახული მიზნებით, ასე რთული უმაგალითო გაქანებით და სიღრმით, ამასთან ჩვენი მუშაობა ჯერ არასოდეს არ მიმდინარეობდა ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში, როგორც ამჟამად.

ჩვენს წინაშე დასახული ამოცანის უდიდესი პასუხისმგებლობა იმით განისაზღვრება, რომ საბჭოთა ადამიანების უკვე ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. ამ ამოცანის განხორციელება პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას აყენებს კომუნიზმისათვის დიადი ბრძოლის მოწინავე ხაზზე.

იმ უდიდესი მნიშვნელობის თვალსაჩინო გამოვლინება, რასაც პარტია ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას, არის სრულიად საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, რომელიც ამას წინათ მოიწვია სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ თათბირს, როგორც ცნობილია, დაესწრო 2500-ზე მეტი კაცი — იდეოლოგიური ფრონტის ყველა რაზმის წარმომადგენელნი. ასეთი დიდი და წარმომადგენლობითი თათბირი იდეოლოგიურ საკითხებზე პირველად იქნა მოწვეული. გახსნა რა თათბირი, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

7-8 თებერვალს თბილისში მოეწყო რესპუბლიკური თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, რომელიც მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. თათბირში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების მდივნებმა, პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა, ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელებმა, გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა რედაქტორებმა, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, რადიოსა და ტელევიზიის, უმაღლესი და საშუალო სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. გ. სტურუას მოხსენება „სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. გ. სტურუას მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. კამათში გამოსულნი მთავარ ყურადღებას უთმობდნენ კომუნისტური მშენებლობის ძირეულ საკითხებს, პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის იდეოლოგიური მუშაობის ახალი აღმავლობის საქმეში.

კამათის მონაწილეებმა გააანალიზეს და განაზოგადეს შეძენილი დადებითი გამოცდილება, ამხილეს ნაკლოვანებები მთელ რიგ იდეოლოგიურ დაწესებულებათა, ადგილობრივ პარტორგანიზაციათა საქმიანობაში. განხილვის მსვლელობაში ეხებოდნენ პოლიტიკური პროპაგანდისა და აგიტაციის, საზოგადოებრივი მეცნიერების, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ საკითხებს, ლიტერატურისა და პრესის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის პრობლემებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ იმას, რომ განმტკიცდეს მთელი იდეოლოგიური საქმიანობის კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

ახალი ადამიანის, მაღალი კომუნისტური მორალის მატარებლის ჩამოყალიბების პროცესი შედეგია მთელი რიგი ისეთი უმნიშვნელოვანესი პროცესების რთული ურთიერთმოქმედებისა, როგორიცაა შრომითი საქმიანობის უდიდესი აღმზრდელობითი ზეგავლენა, მშრომელთა განათლებისა და კულტურის განუხრელი ზრდა, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავრცელება მასებში.

ასეთ თვისებათა ჩამოყალიბების გაშლილი პროგრამაა სკკპ პროგრამაში დაფორმულებული კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი.

მთელი იდეოლოგიური მუშაობა მიმართული უნდა იყოს იმისათვის, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ნორმები ძვალ-რბილში გაუჯდეს საბჭოთა ადამიანებს, გახდეს ღრმა, პირადი რწმენა, ჩვევა.

ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი იყო და არის მუშაობა საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური აღზრდისათვის, კერძოდ, მუშაობა სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროცესში საბჭოთა კავშირში ხდება ერების სულ უფრო ყოველმხრივი დაახლოება, იქმნება მათი სულ უფრო მეტი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ერთიანობა.

ზოგიერთ ამხანაგს ერების დაახლოების საკითხი ესმის პრიმიტიულად და დამახინჯებულადაც კი, ხოლო ზოგჯერ ცდილობენ განმარტონ ისე, რომ ეს დაახლოება იწვევს ან უნდა გამოიწვიოს ეროვნული რესპუბლიკის უფლებათა შელახვა, ეროვნული კულტურის ლიკვიდაცია, ეროვნული ენის ლიკვიდაცია და სხვ.

ამგვარ წარმოდგენას საერთო არა აქვს ნამდვილ მეცნიერულ წარმოდგენასთან ერების დაახლოების შესახებ განვითარებული კომუნისტური საზოგადოების პირობებში.

იდეოლოგიურ მუშაკთა თვითეული რაზმი, — არიან ისინი ლექტორები, პროპაგანდისტები და აგიტატორები, მეცნიერები და მასწავლებლები, მწერლები და ჟურნალისტები, მხატვრები თუ მსახიობები, — ყველანი მონაწილეობას იღებენ მშრომელთა კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებაში თავიანთი სპეციფიკური საშუალებებით, მაგრამ ამასთან ყველასათვის სავალდებულოა ზოგიერთი საერთო მოთხოვნა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა, რადგან ჯერ კიდევ არის მოვლენები, რომლებიც ხელს უშლიან იდეოლოგიური მუშაობის შემტეობის გაძლიერებას, მისი როლის გადიდებას კომუნისტური მშენებლობის დიდი ამოცანების გადაჭრაში. ეს არის პრაქტიკისაგან თეორიის ფესვგადგმული მოწყვეტა, რომელიც წლობით ინერგებოდა ჩვენს მუშაობაში და რომლის ერთ-ერთი მძიმე შედეგი იყო პიროვნების კულტი. ეს არის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროგრამისადმი დოგმატური, პრიმიტიული მიდგომის შედეგები, ცოცხალი, შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის შეცვლა დაზეპირებული ციტატით, სქემით, ეს არის ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის წარმოება მშრომელთა შედარებით ვიწრო წრეებში, ფორმალიზმი, განსაკუთრებით სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში, როცა მრავალი ღონისძიება ხორციელდება ისე, რომ არ არის საკმაოდ მოფიქრებული და მომზადებული, როცა ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ლექცია მოაწყონ არა საქმისათვის, არამედ ანგარიშგებისათვის, რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის.

ცხოვრება ახალ მოთხოვნებს უყენებს იდეოლოგიურ კადრებს, პროპაგანდისტი კარგად უნდა იცნობდეს ცხოვრებას, მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მასებთან, უნდა ჰქონდეს უნარი არა მარტო განუმარტოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ან წაიკითხოს ლექციები, არამედ, რაც მთავარია დაარწმუნოს, დარაზმოს ადამიანები დიდი საქმეებისათვის.

პროპაგანდისტი უნდა ეძებდეს საკითხებს და თავისი მსჯელობის ლოგიკის ძალით, მგზნებარებით, იმის სიმართლისადმი რწმენით, რასაც თვითონ ამბობს, წინ მიჰყავდეს ადამიანები, უქმნიდეს განწყობილებას, გაუფანტავდეს ეჭვს, უხვად უზიარებდეს ადამიანებს თავის რწმენასა და ცოდნას.

პარტია რაზმავს და აკავშირებს მთელ ხალხს თავისი პროგრამის, სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკის მოვალეობაა შეაიარაღონ თვითეული კომუნისტი, თვითეული საბჭოთა ადამიანი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნით, დაეხმარონ მათ სრულად გამოიყენონ ამ თეორიის უდიდესი დამრაზმავი და გარდამქმნელი ძალა კომუნისტური საზოგადოების ნათელი შენობის უსწრაფესად აგებისათვის.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

„პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ორი ათეული წლის მანძილზე შექმნან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში; საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მათ სულ უფრო სრულ ავტომატიზაციას“. — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ეს სიტყვები ჩვენი მეცნიერების, ტექნიკის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკთა წინაშე აყენებს გრანდიოზულ ამოცანებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარება უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ყოველდღიურ ბრძოლას ახალ ტექნიკურ საშუალებათა დაპროექტების და წარმოებაში მათი ათვისების ვადების შემცირებისათვის.



# პროგრესი

## ჩვენი ცხოვრების ძალა

ყველა დროს თავისი შედარებები უყვარს. ახლაც ცოცხლობენ ადამიანები, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის „საოცრებას“ — ორთქლმავლის პირველ რეისს მოესწრნენ. შემდეგი საკვირველება — ტელეფონი, ავტომანქანა, თვითმფრინავი, კინოგადაღება, რადიო და ტელევიზია იყო. ახლა ყოველივე ეს გაოცებას როდი იწვევს და არც კი წარმოგიდგენია, რომ რომელიმე მათგანი, მისი გამოჩენისას, საოცრებად იყო მონათლული. ახლა მეცნიერება და ტექნიკა იქამდე მივიდა, რომ ზუსტად იციან რა შემადგენლობისაა ესა თუ ის პლანეტა, რა ძალები გამოსცემენ მზის ელვარებასა და სითბოს, როგორ შეიძლება მანქანას დედამიწიდან უბრძანო — მთვარის შემოვლისას გადაიღოს ის მხარეები, რომლებიც მიუწვდომელია ჩვენი თვალისათვის. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სრულყოფამ საშუალება მოგვცა ვიმოგზაუროთ კოსმიურ სივრცეებში და აქამდე ჩვენთვის ამოუცნობი საკვირველებანი ისევე უბრალო და გასაგები გავხადოთ, როგორც იყო ოდესღაც ველოსიპედი, ორთქლმავალი თუ ტელეფონი...

ყოველივე ამის მისაღწევად საჭირო იყო ძალების დიდი დაძაბვა, გამუდმებული კვლევა-ძიებანი, ტექნიკური და მატერიალური ბაზები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამოცანის სწორად გადაწყვეტას.

ცხოვრება წინ მიდის და ჩვენი ადამიანები, მეცნიერება და ტექნიკა დაუცხრომლად უნდა ეძიებდნენ სულ ახალსა და ახალს, აუმჯობესებდნენ მანქანა-იარაღებს, ქმნიდნენ სახალხო დოვლათის საფუძველს ყოველგვარი ახლის მისაღწევად. ამ საქმეში მეცნიერებასა და ტექნიკას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამის თვალნათლივ მაგალითს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ვხედავთ.

ელექტროფიკაცია, რომელიც კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძს წარმოადგენს, წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში. „ამიტომ საჭიროა უზრუნველვყოთ ელექტროენერგიის წარმოების წინგამსწრები ტემპები“, — ნათქვამია პროგრამაში. მარტო წელს ათ მილიონ კილოვატს მოგვცემს ახალი ელექტროსადგურების ტურბინები. ტექნიკური სრულყოფის ნიადაგზე თბოცენტრალები ელექტროწარმოების პირველ ხაზზე გამოდიან. მაგალითად, წელს თბოელექტროსადგურები მწყობრში ჩამდგარი სადგურების ორ მესამედ ენერგიას მოგვცემენ; ელექტროგადამცემი ხაზები 31 ათასი კილომეტრით გაიზრდება.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში ავტომატიზაციის დანერგვას. საწარმოებში, სადაც ავტომატიზაციამ ფართოდ მოიკიდა ფეხი, მკვეთრად გადიდდა პროდუქციის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ავტომატიზაციამ უნდა დააჩქაროს კაცობრიობის ეკონომიური პროგრესის ტემპები.

ცნობილია, თუ რაოდენ ზემძლავრ სიჩქარეებს, მაღალ ტემპერატურას მოითხოვს თანამედროვე და მომავალი ტექნიკით აღჭურვილი მანქანები, ღუმელები. ასეთ შემთხვევებში, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანების სიცოცხლის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების შემსუბუქების საქმეს. ავტომატიზაცია საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მუშაობის იდეალური პირობები და საგრძნობლად გავზარდოთ პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. ახლა მანქანები უკვე ასრულებენ ადამიანის რთულ და მისი სიცოცხლისათვის სახიფათო საქმეებს ავტომატიზაცია არა მარტო სპობს ადამიანისათვის მავნე და საშიშ პროცესებს, არამედ ხელს უწყობს ფიზიკური შრომის ინტელექტუალურით შეცვლას.

ავტომატიზაციის ფართო მასშტაბებით დანერგვამ მნიშვნელოვნად ასწია შრომის ნაყოფიერება, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სხვა სიახლეებთან ერთად, მეტალურგებმა სახელი გაითქვეს მსოფლიოში უნიკალური დგან „ოთხასით“. საწარმოო პროცესების გაადვილებასთან ერთად, ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო სამუშაოს შესრულება მანქანამ იკისრა. დგან „ოთხასის“ კომპლექსური ავტომატიზაციის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის ქართველ მეფოლადეთა ჯგუფი ლენინურ პრემიაზეა წარდგენილი.

ერთის შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს ის, რომ ერთი და იგივე ავტომატური დაზგა, ავტომატური ხაზი სხვადასხვა სოციალურ გარემოში სხვადასხვაგვარ შედეგს იძლევა. რათ ხდება, რომ ერთ პირობებში, კაპიტალისტურ სამყაროში, ავტომატიზაცია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უბედურების წყაროა, ხოლო სხვა პირობებში — სოციალიზმის პირობებში — იგი ადამიანთა კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ამ გარემოებას მოხდენილად უპასუხა ავტომატიზაციის დარგში ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა მილტონმა: — „ავტომატიზაციას არ შეუძლია ავადმყოფი ქვეყანა ჯანმრთელი გახადოს, ან პირიქით. მას შეუძლია ჯანსაღი ეკონომიკა კიდევ უფრო გააჯანსაღოს, ხოლო ავადმყოფი ეკონომიკა კიდევ უფრო დაავადოს“.

ავტომატიზაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშების დაბეჩავების, უმუშევრობის, გაღატაკების წყაროა, მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ავტომატიზაცია, როცა მისი ბაზისი — ეკონომიური რესურსები და საწარმოები თვით მშრომელთა ხელშია, არის სიუხვის, სიმდიდრის, ადამიანების ბედნიერების წყარო. მაგრამ მისი გამოყენება ერთ ვითარებაში ერთ შედეგს გვაძლევს, ხოლო მეორეში — მის საწინააღმდეგოს. მხოლოდ პროდუქტების სიუხვის პირობებშია შესაძლებელი კომუნიზმის დიადი პრინციპის „თვითეულს უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, — განხორციელება. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი სწორედ ავტომატიზაციას ენიჭება. ამერიკელმა ეკონომისტმა ბაინდერმა განაცხადა:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა თანაფარდობის ნიშანს სვამს კომუნიზმსა და ავტომატიზაციას შორისო.

მუშის ხელფასის გადიდება და შრომის გაადვილება, სოციალიზმის დროს ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია ხელს უწყობს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას. ცნობილია, რომ ავტომატიზირებულ საწარმოებში მუშის საშუალო კვალიფიკაცია გაცილებით მაღალია, ვიდრე არაავტომატიზირებულ ფაბრიკა-ქარხნებში. უკვე ახლა ჩვენი ქვეყნის ყოველი მეოთხე მოქალაქე სადმე სწავლობს. 4 მილიონი ადამიანი სწავლას უთავსებს მუშაობას. ყოველ წელიწადს ორნახევარი მილიონი ადამიანი ახალ პროფესიას ეუფლება, მილიონობით მუშამ ინჟინრის კვალიფიკაცია მიიღო.

უახლოეს 20 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში ავტომატიკა, ტელემექანიკა, ელექტრონული გამომთვლელები, მმართველი მანქანები, ათასგვარი მოანგარიშე აპარატები, ატომის ენერგიით მომუშავე მანქანები იქცევიან მრეწველობის ძირითად ტექნიკად. ეს საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ადამიანთა მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას, მკვეთრად გავამრავლოთ სახალხო დოვლათი; სულ მალე ქალაქისა და სოფლის ყველა მცხოვრების სახლში მოვა დიდი სიმდიდრე და სიხარული, გაუქმდება ყველა გადასახადი, მშრომელებს არ გადახდებათ საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ტრანსპორტის, მედიკამენტების ფული. მომსახურება საბავშვო დაწესებულებებში, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში უფასო იქნება...

უმუშევრობა? საბჭოთა ადამიანს ხომ არ ემუქრება კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ეს მტანჯველი ურჩხული? რასაკვირველია, არა! იმ გრანდიოზული სამუშაოების შესასრულებლად, რაც დასახულია ჩვენს დიად პროგრამაში, სამუშაო ყველას ეყოფა, ამავე დროს, სულ უფრო და უფრო ადვილი და მცირეხნიანი იქნება სამუშაო დღე.

ადამიანებს დიდი დრო დარჩებათ იმისათვის, რომ აიმაღლონ კულტურა, დაეუფლონ ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის სხვადასხვა დარგებს, დაისვენონ, გაერთონ.

პროგრესი მეცნიერებასა და ტექნიკაში საბჭოთა ადამიანს გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს, შეუქმნის მათ ჯანსაღ, საინტერესო, კულტურულ ცხოვრებას.

ყოველივე ამის საწინდარია ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე ადამიანთა თავდადებული შრომა პროგრესისათვის.





ფოტო ოთარ თურძიასი.

# როცა მანქანა „ფიქრობს"


ა. ელიაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის
ინსტიტუტის დირექტორი.

ფოტო ო. თურქიასი.




საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით, თანამედროვე რადიოელექტრონიკის, ელექტრონული მანქანებისა და მრეწველობის ავტომატიზაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო სამუშაოთა შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოში შეიქმნა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

ამ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი.

ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად პროფილს საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და ტელემექანიზაცია შეადგენს.

რადიოელექტრონიკის და ელექტრონული სათვლელი მანქანების განვითარებამ უდიდესი შესაძლებლობები შექმნა ადამიანთა შემოქმედების ყველა დარგისათვის, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის სფეროში.

ცნობილია, რომ საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ავტომატიკის როლი თანამედროვე ეპოქაში. ელექტრონული ავტომატიკა ადამიანის წინაშე შლის სრულიად ახალ პერსპექტივებს, იგი საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გამოვიყენოთ ბუნების ისეთი მოვლენები, რომელთა გამოყენება ავტომატიკის გარეშე ყოვლად შეუძლებელი იყო...

თანამედროვე ტექნიკას საქმე აქვს ინტენსიურად მიმდინარე ფიზიკურ პროცესებთან. ამ პროცესების მართვა იმდენად რთულია, რომ იგი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება.

მთელი რიგი პროცესების მიმდინარეობის დიდი სიჩქარე აუცილებლად საჭიროებს სხვადასხვა სწრაფმოქმედ სამართავ მოწყობილობათა შექმნას. ელექტრონიკა საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავჭრათ ეს საკითხი და შევქმნათ საჭირო სწრაფმოქმედი სამართავი ხელსაწყოები და მანქანები.

სწორედ ამიტომაც არის, რომ დღევანდელ ეტაპზე ელექტრონიკა ასეთ დიდ როლს ასრულებს ტექნიკის განვითარებაში, კერძოდ კი ავტომატიკის განვითარებაში. თანამედროვე ავტომატიკა ძირითადად ელექტრონული ავტომატიკაა, სწორედ ეს გარემოება აპირობებს ჩვენს ინსტიტუტში მიმდინარე გამოკვლევების ხასიათს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინსტიტუტის თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის პრობლემას. ამ დარგში ინსტიტუტმა მუშაობა თავისი დაარსების პირველ დღეებიდანვე დაიწყო. ჩვენს წინაშე დასახული იყო ამოცანა: შეგვექმნა სახარატო ჩარხის პროგრამული მართვის სისტემა. მუშაობა დავიწყეთ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივთან მჭიდრო ურთიერთობაში. დაძაბული მუშაობის შედეგად შევძელით შეგვექმნა ელექტრონული სათვლელი მოწყობილობა, რომელიც სახარატო ჩარხის მუშაობას მართავს. წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, ჩარხი ადამიანის ჩარევის გარეშე უნაკლოდ ამზადებს ამა თუ იმ ნაკეთობას. დეტალების სერიული დამზადების დროს ასეთი პროგრამული მართვა საშუალებას გვაძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ნაკეთობის ხარისხიც.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა ამჟამად ამზადებს ჩარხებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება ინსტიტუტში დამუშავებული პროგრამული მართვის სისტემით.

პროგრამული მართვის სისტემა მზადდება აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი მძლავრი დგანისათვის — ბლუმინგისათვის.

თანამედროვე მრეწველობაში ფართოდ იყენებენ ე. წ. სტაბილურ იზოტოპებს. იზოტოპების ტექნოლოგია მეტად რთულია და მისი განხორციელება შეუძლებელია ფართო ავტომატიზაციის გარეშე.

ტექნოლოგიური პროცესების მართვა წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ არსებობს საშუალება წინასწარ გავითვალისწინოთ მუშაობის ყველა შესაძლო პირობები და შემთხვევები. მაგრამ ასეთი „წინასწარმეტყველება" ყოველთვის როდია შესაძლებელი: ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მრავალი შემთხვევითი გარემოება, ყველა ამ გარემოების გათვალისწინება კი, თავისთავად ცხადია, ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც არის, რომ წინასწარ შედგენილი მართვის პროგრამა ყოველთვის არ გამოდგება. სამართავ მოწყობილობას უნდა ქონდეს უნარი ცვალებადი მდგომარეობის პირობებში დამოუკიდებლად მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილება.

მართვის ასეთ მოთხოვნილებებს უპასუხებს ე. წ. „თვითაწყობადი" და „თვითორგანიზებადი" მართვის სისტემები. ამ როლს ასრულებს ელექტრონული სათვლელ-სამართი მანქანები. მათ უნარი შესწევთ ცვალებად პირობებში სათანადო გადაწყვეტილება მიიღონ სისტემის საუკეთესო მართვის შესახებ.



გასული წლების განმავლობაში ინსტიტუტში შეიქმნა ასეთი „თვითაწყობადი" მართვის სისტემა. ახლა წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა წარმოებაში მათი გამოყენებისათვის.

ინსტიტუტი მუშაობს აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ტელემექანიკური მოწყობილობის გამოყენებაზე. უკვე შექმნილია ტელემექანიკური მოწყობილობა ენერგეტიკული სისტემისათვის, სამთო მრეწველობისა და თბილისის გაზის მეურნეობისათვის.



როგორც ცნობილია, ელექტრონული სათვლელი ტექნიკა ფართო შესაძლებლობებს უქმნის ადამიანის გონებრივი შრომის მექანიზაციას. ამის თვალსაჩინო მაგალითია უკვე საკმარისად ცნობილი მანქანური თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე, რომელიც ელექტრონული სათვლელი მანქანების საშუალებით ხორციელდება.

დაარსების პირველ დღიდანვე ინსტიტუტში დავიწყეთ კვლევითი მუშაობა რუსულ-ქართული მანქანური თარგმნის დარგში. ამ სამუშაოში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ენათმეცნიერები, ისე ინჟინრები და ფიზიკოსები.

უკვე შედგენილია რუსულ-ქართული მანქანური თარგმანის ალგორითმი, ე. ი. იმ წესების ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მანქანის მოქმედებას თარგმნის დროს.

ალგორითმის საფუძველზე იქმნება მანქანის პროგრამა, ე. ი. მანქანის მოქმედებათა თანმიმდევრობა. შედგენილი ალგორითმის და პროგრამის საფუძველზე ინსტიტუტში უკვე განვახორციელეთ რამდენიმე წინადადების საცდელი თარგმნა.

ამჟამად იქმნება ელექტრონული გამოთვლითი მანქანა, რომლის საშუალებით ათვისებული იქნება ტექნიკური ტექსტების თარგმანი.

პარალელურად ტარდება გამოკვლევები სხვადასხვა ევროპული ენებიდან ქართულად სამეცნიერო ტექსტების მანქანური თარგმნისათვის.



ინსტიტუტში ტარდება აგრეთვე გამოკვლევები ადამიანის ზეპირი მეტყველების უშუალო გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. ზეპირი მეტყველება ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის მთავარი საშუალებაა, მაგრამ ზეპირი ინფორმაციის გარდაქმნის და გა-



# ციმბირის პაპა — კორენგუნდენიხეს მეთაური

(ახალი მასალები ნ. კალანდარიშვილის შესახებ)

ა. შიმკინა-ახალაძე

1918 წლის მიწურულსა და 1919 წლის დასაწყისში იაპონელი ინტერვენტების მიერ ოკუპირებულ კორეის მიწაზე დაიწყო მძლავრი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იაპონელ დამპყრობთა რეპრესიებმა ათასობით კორეელის ოჯახი აიძულა დევნისაგან თავის დასაღწევად რუსეთის შორეული აღმოსავლეთისათვის შეეფარებინა თავი. შეიქმნა ათობით პარტიზანული რაზმი, სადაც მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები, კორეელები, ჩინელები და სხვა ხალხების შვილები. კორეელი მშრომელები დიდ დახმარებას უწევდნენ პარტიზანებს: ეხმარებოდნენ იარაღის გადაზიდვაში, ამარაგებდნენ სურსათითა და მედიკამენტებით. კორეელი პარტიზანების საბრძოლო მოქმედებას ხელმძღვანელობდა ზღვისპირეთის პარტიზანული მოძრაობის შტაბი.

1921 წლის მარტში სოფ. კრასნოიაროვოში (ამურსკის ოლქი) რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა შორეული აღმოსავლეთის სრულიად კორეის პარტიზანთა პირველი ყრილობა, რომელმაც გადაწყვიტა ცალკეული პარტიზანული რაზმების გაერთიანება და მათთვის ცენტრალიზებული სარდლობის დანიშვნა.

შორეული აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მყოფი ყველა კორეული პარტიზანული რაზმი და ქ. ირკუტსკში დისლოცირებული რაზმები 1921 წლის მაის-ივნისში თავმოყრილ იქნენ ქ. სვობოდნში, სადაც ისინი გარდაქმნეს შორეული აღმოსავლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის რეგულარულ ნაწილებად. კომინტერნის შორეული აღმოსავლეთის სამდივნოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო საბჭომ კორეის რევოლუციური ჯარებისა და შორეული აღმოსავლეთის პარტიზანული რაზმების მხედართმთავრად დანიშნა პარტიზანული ომის გამოცდილი ხელმძღვანელი, გამოწრთობილი რევოლუციონერი ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილი.

ბრძოლებში გამოწრთობილი და სახელგანთქმული გონგოთის ცხენოსანი პოლკი, თავის მეთაურ მიხეილ პავლეს ძე ასათიანთან ერთად, ნ. კალანდარიშვილის ხელმძღვანელობით გაემართა შორეული აღმოსავლეთისაკენ, სადაც 1921 წლის ივნისში პარტიზანული რაზმებისაგან ჩამოყალიბებულ იქნა კორეის ინტერნაციონალური მსროლელი ბრიგადა — კორენგუნდენიხე. მაგრამ ბრიგადა არ იყო საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და კორეაზე ლაშქრობა ვერ განხორციელდა. რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა კორეის სამხედრო ნაწილები ისევ ქ. ირკუტსკში გაეწვია.

1921 წლის აგვისტოში ბრიგადა დაბინავდა ირკუტსკის წითელ ყაზარმებში, სადაც ნ. კალანდარიშვილის ხელმძღვანელობით შეუდგა სამხედრო წვრთნას. ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში ბრიგადის პოლკებში იმართებოდა საორგანიზაციო კრებები კომუნისტური უჯრედების შესაქმნელად, ხორციელდებოდა დიდი აღმზრდელობითი ღონისძიებები, აღდგენილ იქნა მტკიცე პარტიული დისციპლინა, ტარდებოდა ლექციები, შეიქმნა აგიტბრიგადები რუსულ, კორეულ და ჩინურ ენებზე.

1921 წლის 5 სექტემბერს ნ. კალანდარიშვილი კორეის ამბებზე ანგარიშის წარსადგენად მოსკოვში გაიწვიეს. ამავე წელს საბჭოთა მთავრობამ თავდადებული და უანგარო საბრძოლო მოღვაწეობისათვის ნ. კალანდარიშვილი დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

ბრძანება №1516-ში აღმოსავლეთ ციმბირის სამხედრო ოლქის მე-5 არმიის ჯარებისადმი ნათქვამია:

„ციმბირის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის ბრძოლის მძიმე წლებში ამხ. ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილმა მის მამაც დამცველთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა.

ნ. კალანდარიშვილმა თავისი საბრძოლო მოღვაწეობა დაიწყო მუშურ-გლეხური ხელისუფლების წარმოქმნის მომენტიდანვე, იგი თანამიმდევრულად იბრძვის ჯერ სემიონოვის, ხოლო შემდეგ კოლჩაკის წინააღმდეგ...

1919 წლის ბოლოს ამხ. კალანდარიშვილი ენერგიულად დევნიდა თეთრგვარდიული არმიის ნაშთებს. 1920 წლის მარტში ვერხოლენსკის ტრაქტზე გაანადგურა სუკინის რაზმი და ხელთ იგდო მდიდარი ნადავლი.

ორწლიანმა ენერგიულმა ბრძოლამ ვერ გატეხა თავდადებული პარტიზანის ენერგია. 1920 წლის აპრილში თავისი დასვენებული და შევსებული რაზმით ამხ. კალანდარიშვილი გაეშურა იაპონო-სემენოვსკის ფრონტზე. იმავე წლის 12 მაისს გონგოთთან ბრძოლაში, ხელმძღვანელობდა რა ფეხოსნებისა და კავალერიისაგან შემდგარ რაზმს, ამხ. კალანდარიშვილი დაჭრილ იქნა ფეხსა და ლოყაში, მაგრამ, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, არ დატოვა თავისი პოსტი. ბრძოლის შედეგად იაპონელებმა დიდი დანაკლისით დაიხიეს სადგურ სოხონდოსაკენ.

ენერგიულმა წინააღმდეგობამ, რომელსაც ისინი წააწყდნენ ამხ. კალანდარიშვილის მხრიდან, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზავის დადებასა და იაპონელების დახევას აღმოსავლეთისაკენ.

აღნიშნა რა ამხ. კალანდარიშვილის დიდი დამსახურება რევოლუციისა და რესპუბლიკის წინაშე, აღმოსავლეთ ციმბირის ოლქის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ დაადგინა — დაჯილდოვდეს იგი წითელი დროშის ორდენით".

კორეელი პარტიზანების ბრძოლა დამთავრდა 1922 წლის 25 ოქტომბერს, როცა სახალხო-განმანთავისუფლებელი არმიის ნაწილები და პარტიზანთა რაზმები ქ. ვლადივოსტოკში შევიდნენ.

ქართველი ხალხი ამაყობს ნ. კალანდარიშვილისა და მისი მებრძოლი მეგობრების სახელოვანი საქმეებით, რომლებიც იბრძოდნენ კორეის განთავისუფლებისათვის და სიცოცხლე შესწირეს ხალხთა მეგობრობის დიად და კეთილშობილურ საქმეს.

# როცა მანქანა „ბეჭდავს"

მოყენების მეთოდები ჩამორჩება ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნილებებს. მაგალითად, იმისათვის, რომ ზეპირად მიწოდებული ინფორმაცია დაიბეჭდოს, საჭიროა იგი ჯერ სტენოგრაფიის საშუალებით ჩავწეროთ, მერე გავშიფროთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავცეთ მანქანაზე დასაბეჭდად. თვით ბეჭდვის პროცესიც მოითხოვს ადამიანის შრომას.

ამგვარად, ზეპირი ინფორმაციის დაბეჭდილ ინფორმაციად გარდაქმნა მოითხოვს ადამიანის ხანგრძლივ და ტევად შრომას.

ეს შრომა სრულიადაც აღარ იქნება საჭირო, თუ შევქმნით ისეთ მანქანას, რომელიც „გაიგებს" ადამიანის მეტყველებას და უშუალოდ ჩაწერს მას. საჭიროა შეიქმნას ისეთი მოწყობილობა, რომელიც ობიექტურად გაარჩევს ბგერების შინაარსს. როგორც ცნობილია, თვითეულ ბგერას საკუთარი ფონეტიკური სპექტრი ახასიათებს. მაშასადამე, შესაძლებელია შეიქმნას მოწყობილობა, რომელიც წარმოთქმული ბგერის სპექტრის ანალიზის საფუძველზე ამა თუ იმ ბგერას შეუცდომლად გამოარჩევს სხვა ბგერისაგან. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ინსტიტუტში უკვე შეიქმნა ისეთი მოწყობილობა.

აღნიშნული მოწყობილობა გასულ წელს ექსპონირებული იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში, სადაც მან დამთვალიერებელთა ინტერესი გამოიწვია.

კვლევითი მუშაობის გაშლასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადება, ვინაიდან რადიოელექტრონიკის ახალ



დარგში საქართველოში მეტად შეზღუდული იყო სპეციალისტთა რაოდენობა, ჩვენ მოგვიხდა ადგილობრივი კადრების იმ ახალგაზრდებიდან აღზრდა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდნენ. კმაყოფილებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქმის სიყვარულმა და მონდომებამ შესაძლებელი გახადა ამ ამოცანის წარმატებით შესრულება. ინსტიტუტს ამჟამად ყავს კვალიფიცირებული, ნიჭიერი კადრები, რომლებიც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ინსტიტუტის მთელი კოლექტივი შესძლებს კიდევ უფრო მეტი წარმატებები მოიპოვოს და თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

# ხალხის რჩეულნი



უინულლავს. ქვაფენილზე წყლის გუბეებში გამხმარი ფოთლები ტივტივებენ. თამარი აჩქარებული ნაბიჯებით მიდის. ქარი სახეს უსუსხავს, მაგრამ გოგონა ვერ გრძნობს სიცივეს. საკუთარი ხელით მოქსოვილი წითელკოპლებიანი თავსაფარი მხრებზე ჩამოსცურებია. ირგვლივ ყველაფერი უჩვეულოდ ლამაზი და მომხიბვლელი ეჩვენება: ელნათურებით გაკაშკაშებული ქადრების ხეივანი, გაჩირაღდნებული ფანჯრები, ტაატით მიმავალი წყვილები და გადასასვლელზე მდგარი მაღალი მილიციელი, რომელმაც თავაზიანად დაუთმო გზა.

დედამ სარკმელიდანვე გაუღიმა შვილს. მერე სუფრა გააწყო. ბედნიერებისაგან ლოყებშეფაკლულმა თამარმა შეცივნული ხელები მხრებზე შემოხვია დედას, ჭაღარა თმა აუბურდა, მიეხუტა და ათრთოლებული ხმით წასჩურჩულა:

— დეპუტატად დამასახელეს, დედა!

დედას გამხდარი მხრები აუცახცახდა, მუხლმოკვეთილივით დაეშვა სკამზე. დანაოჭებულ ლოყაზე ბედნიერების ცრემლი ჩამოუგორდა. ჩემო სასახელო გოგოო, თითქოს ოცი წლით გაახალგაზრდავდა დედა.

თამარმა ქაღალდში შეხვეული საჩუქარი ჩაუდო კალთაში.

— ჩემი ნახელავია, დედი... ნუ დამემდურები ასეთ მცირედ საჩუქარზე.

დედამ მადლობით გაუღიმა. დაბნეული და აღელვებული გაემართა სამზარეულოსაკენ, საჩუქარი გულში ჩაიხუტა.

იმ ღამეს თამარმა ვერა და ვერ დაიძინა. ან რა დააძინებდა. ფიქრობდა, ფიქრობდა ათას რამეზე...

როგორ შეიძლებოდა წყნეთში გატარებული ბავშვობის დავიწყება. მაშინ სასაცილო წვრილ ნაწნავებს ატარებდა. უზრუნველად დარბოდა ორღობეებში, დასდევდა პეპლებს და თვითონაც პეპელასავით დაჰფარფატებდა სერებზე იებს. მერე კი უკუღმართად დატრიალდა მათი ოჯახის ჩარხი. ომმა შეიწირა ძმა, გარდაიცვალა მამა, დანარჩენი ხუთი და-ძმიდან მხოლოდ ერთი თამარი დარჩა დედას სანუგეშოდ. იკლო ლხინმაც და ბარაქამაც ერთ დროს მხიარულ, ხელგაშლილ ოჯახში...

არც იმ დღის დავიწყება შეიძლება, როცა მათმა ნათესავმა ძია სანდრომ პირველად ჩამოიყვანა ქალაქში, საქარხნო სასწავლებელში მიაბარა ცეროდენა გოგო. პირველად გაუჭირდა თამარს, სულ თავისი სოფელი და დედა ენატრებოდა. მერე კი თანდათან შეეჩვია, ახალი მეგობრები გაიჩინა და ცხოვრებაც ახალი კალაპოტით წავიდა წინ...

თოთხმეტი წლისა იყო, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში რომ მოხვდა. გაკვირვებული იდგა ვეება საამქროში და შიშითა და უნდობლობით შესცქეროდა უცნაურ დაზგებს. ვერ წარმოედგინა როგორ უნდა ემუშავა ამ მანქანებთან. მდგომარეობიდან ქარხნის ინსტრუქტორმა ელენე ბოგომოლოვამ გამოიყვანა: მივიდა, კეთილი ცისფერი თვალებით გაუღიმა და, რა გქვიაო, ჰკითხა.

— თამარი, — მოკრძალებით მიუგო გოგონამ, — თამარ ლალაძე.

ახსოვდა მაქოს აღება პირველად ხელში, თითები უთრთოდა, ვერა და ვერ დაიმორჩილა რეგულატორი, დაზგა ჯიუტად დუმდა და არც აპირებდა ამუშავებას. მაგრამ სამი თვეც არ იყო გასული, რომ ეს „ჯადო" მანქანა მოთოკა და მისი მბრძანებელი გახდა...

ახლა კი უკვე სამ დაზგას შორის ტრიალებს თამარი. დღე არ გავა, რომ გეგმა ასოცი-ასოცდაათი პროცენტით არ შეასრულოს. აკი დააჯილდოვა კიდეც ამისთვის მთავრობამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის". კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელწოდებაც მიანიჭეს. საზოგადოებრივ საქმიანობაშიც დაუზარებელი ქალიშვილი მალე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ახლა კი აი, მშობლიურმა საწარმოს მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

დიდი პატივი დასდეს თამარს, დიდი მოვალეობა დააკისრეს ამით, მაგრამ დიდი სიხარულითაც აავსეს ქალიშვილის გული — ხალხის ნდობა ხომ ყველაზე მაღალი ჯილდოა ადამიანისათვის.

ნ. ჯაფარიძე

ძალზე უპრეტენზიოდ გამოვიდა ფართო სცენურ სარბიელზე მედეა ჯაფარიძე. თეატრის სცენაზე გამოსვლამდე უკვე ჰქონდა თავისი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია. ეს ბიოგრაფია სახლის აივნისა თუ ეზოს კუნჭულში ჩამოკიდებულ ზეწართან. პატარა მედიკოს თეატრის ფარდასთან იწყებოდა. რეპერტუარიც ბრწყინვალე იყო: გიორგი ქუჩიშვილის ლექსები, იმპროვიზაცია თემებზე—„უბედური ქალი" და 1905 წლის რევოლუცია. შემდეგ სკოლის თეატრი. თვითმოქმედ კოლექტივში შესრულებული მზალოსა და ტურფას როლები...



პატარა გოგონა იყო მედეა, როდესაც ის მოსკოვში წაიყვანეს მისი ბიძის, გამოჩენილი რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის შვილებმა. აქ გაეცნო და შეიყვარა მედეა ჯაფარიძემ სამხატვრო თეატრი. აქ გადაიქცა ბავშვის ბუნდოვანი ოცნება მომავლის ღრმა რწმენად.

მარჯანიშვილის თეატრს მედეამ თავისი ბედი 1942 წლიდან გადააჯაჭვა. მრისხანე ომის წლებში შეასრულა მან შუროჩკასა და ლიზას როლები. მანამდე მას კინოში მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდა. საინტერესო სახეები შექმნა „გიორგი სააკაძესა" და „ჯურღაის ფარში". ეთერის როლის განსახიერებისათვის მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ჩვენმა მაყურებელმა შეიყვარა მედეა ჯაფარიძის ქეთო ფილმიდან „ქეთო და კოტე".

ომის წლებში შექმნილ როლთაგან გულსუნდა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილიდან" გაბედულ თეატრალურ ბრძოლაში მიღწეული პირველი დამსახურებული და თანაც ბრწყინვალე გამარჯვებაა.

პოეტმა მარიკა ბარათაშვილმა მედეა ჯაფარიძისათვის დაწერა კომედია „ჭრიჭინა". და როგორ გაუმართლა მწერალს მსახიობმა, რა ღრმად ჩასწვდა როლს, როგორი უშუალობით გააცოცხლა პიესისეული ხასიათი, როგორ ოსტატურად გაამდიდრა სისხლსავსე კომედიური სახე. მშვენივრად შენიშნა ნ. გორჩაკოვმა, რომ მედეას ჭრიჭინა თავისუფალი იყო ყოველგვარი ყალბი თეატრალობისაგან. უაღრესად სახასიათოდან უაღრესად დრამატულ როლამდე, ონავარი გოგონებიდან ოჯახური ტრაგედიით დატვირთულ მეუღლემდე, ფსიქოლოგიურად რთულად დასაძლევ ქალთა სახეებამდე, თანამედროვე საბჭოთა ქალიდან კლეოპატრამდე და ჯულიეტამდე, — აი, მედეას თეატრალური გზა.

ამ პატარა წერილში ყველაფერს ვერ გავიხსენებთ, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ციცინოსა და ლილის სახეებს რევაზ თაბუკაშვილის პიესებიდან „რაიკომის მდივანი" და „რას იტყვის ხალხი", ვერც კეტის სახეს („აფროდიტას კუნძული"), ვერც მარტას ჭეშმარიტი დრამატიზმით გამსჭვალულ როლს („ხეები ზეზეულად კვდებიან"), ვერც ელიზას ბერნარდ შოუს „პიგმალიონიდან".

მედეა ჯაფარიძის შემოქმედება კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველ ჭეშმარიტებას, რომ ყველა ჟანრს უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს, თუ კი სრულყოფილად არის გახსნილი ნაწარმოების აზრი, როლის ზეამოცანა. მის მიერ შესრულებულ დიდსა თუ პატარა როლს ახასიათებს ცხოვრებისეული სიმართლიდან გამომდინარე გამოკვეთილი სცენური ნახაზი.



მისი შემოქმედება ყოველთვის როლის გარეგნული სახისა და მოქმედების შინაგანი რიტმის ძიების შედეგია. მსახიობის დიქციაში არის რაღაც ბავშვური; ეს ხალასი ბავშვური ნოტი შესაფერ რეგისტრში ყოველთვის ამაღლებულად, პოეტურად ჟღერს. ოსტატობის ყველა ელემენტი თავისებურია, საკუთარია, და ამავე დროს, სცენურ რეალიზმთან ღრმად შეჯერებული.

მედეა ჯაფარიძისათვის უდიდესი შრომისმოყვარეობაა დამახასიათებელი. შრომისმოყვარეობა — მაღალი პროფესიონალიზმისა და მოქალაქეობრივი შეგნების უცილობელი ფუძე და შედეგი.



მაყურებელს გულით უყვარს ნაცნობ-უცნობთა ამხანაგი და გულისხმიერი მეგობარი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების გულწრფელი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე... თეატრის მაყურებელმა, ჩვენმა ხალხმა მას ღირსეული მადლობა გადაუხადა, გულში სათუთად შენახული სიყვარულის გრძნობის გამომხატველია ის, რომ იგი რჩეულთა შორის დაასახელა.

შ. სალუქვაძე







ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.



32

# „ს ა რ ი ნ ა“

ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის დიადი იდეებით არის გამთბარი ინდონეზიის პრეზიდენტის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის სუკარნოს წიგნი „სარინა“. ეს წიგნი ქალთა მოძრაობისადმი არის მიძღვნილი. ამ წიგნზე მუშაობა ავტორმა მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო, როცა იგი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ქვეყნის შორეულ და მცირედ დასახლებულ მხარეში იყო გადასახლებული. წიგნი პირველად 1947 წელს გამოიცა, ე. ი. იმ დროს, როცა ინდონეზიელი ხალხი გმირულ ბრძოლას ეწეოდა თავისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

წიგნი თავიდან ბოლომდე მშრომელი ქალების ბედზე ზრუნვის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ავტორის მთელი სიმპათიები დაჩაგრული ინდონეზიელი გლეხი ქალების მხარეზეა. ეს წიგნის სახელწოდებიდანაც კი ჩანს. „ეს სახელი წიგნს დავარქვი, — გვიხსნის სუკარნო პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, — ჩემი ძიძის პატივსაცემად, რომელიც ბავშვობის დროს მივლიდა. მას სარინა ერქვა. იგი ჩემი მეორე დედა იყო. იგი ეხმარებოდა დედაჩემს, და მისგან ვისწავლე სიყვარული და სხვა კარგი გრძნობები. მან მასწავლა მეყვარებოდა „პატარა ადამიანები“. თვითონ იგი „პატარა ადამიანი“ იყო, მაგრამ სული კი რა დიდი ჰქონდა!“

სუკარნო თავის წიგნში თამარის დროინდელ საქართველოსაც ეხება. ავტორი სავსებით სწორად განიხილავს იმდროინდელ საქართველოს დიდ ავტორიტეტსა და გავლენას მთელს კავკასიაზე და მის ფარგლებს გარეთაც. „ჩვენ რომ ამჟამად კავკასიის მთიან რაიონებში მოვხვდეთ, — წერს სუკარნო, — ყურადღებას მივაქცევდით იმას, რომ ხალხების მეხსიერებაში კვლავაც მტკიცედ ცოცხლობს ლეგენდა თამარ მეფეზე... თამარ მეფეს ახლაც განადიდებენ კავკასიის ხალხები, ხოტბას ასხამენ მის მშვენიერებას, ნიჭს, სიმამაცესა და თავდადებას, მას უძღვნიან მგზნებარე სტრიქონებს, ლექსებს და ყოველგვარ ქებას, რომელთაც ამოკვეთენ ხოლმე ხმლებზე, თასებზე, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე“.

„არის ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს ჩვენს ყურადღებას კავკასიელი თამარისადმი, — განაგრძობს შემდეგ ავტორი, — კავკასიელი თამარი არ არის მოგონილი პიროვნება. ეს ისტორიულად ჭეშმარიტად არსებული პიროვნებაა“.

სუკარნოს აზრით, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლა კავკასიაში მხოლოდ რამდენიმე ასეული წლის წინათ მოხდა. საქართველოს ისტორიული განვითარება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ადასტურებს ამ დებულების სისწორეს, არც თამარის გამეფება ყოფილა მატრიარქატის გამარჯვების ნიშანი. მიუხედავად ამ მცდარი აზრისა, სუკარნოს წიგნი „სარინა“ შესანიშნავი საბუთია მისი ავტორის უაღრესად ფართო მეცნიერული დიაპაზონისა, მისი გულთბილი დამოკიდებულებისა ჩვენი ხალხისა და სხვა ერების კულტურის ისტორიისადმი.

ხ. ჯორბენაძე
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ი ც ი თ უ ა რ ა?

... რომ საბჭოთა კავშირს კარტოფილის ნათესი ფართობით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. საქართველოში კარტოფილი პირველად ბარში ითესებოდა, მაგრამ არახელსაყრელი პირობების გამო თანდათანობით მთის ზონებში გადაინაცვლა.

... რომ იშვიათად შეიძლება შეხვდეთ ისეთ კუთხეს, სადაც ხეხილის იმდენი ადგილობრივი ჯიში იყოს, რამდენიც საქართველოშია გავრცელებული. საქართველოში ითვლება ვაშლის, მსხლის, ატმისა და სხვა ხილის ასობით ადგილობრივი ჯიში. ბევრი მათგანი სასაქონლო თვისებებით გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე დასავლეთ ევროპისა და ამერიკული წარმოშობის ცნობილი ჯიშები.

... რომ სუბტროპიკული ხურმა საქართველოში 1888 წელს შემოიტანეს. ჩვენში ახლა ხურმის 80-მდე ჯიშია გავრცელებული. ხურმის ნაყოფში შაქარი 25 პროცენტამდეა, ხურმის ჩირში კი შაქრის რაოდენობა 62 პროცენტამდე აღწევს.

...რომ ქამელეონს თვალები უცნაურად აქვს მოწყობილი. ამ ცხოველს შეუძლია ცალი თვალით ზევით იყუროს, მეორე თვალით კი ქვევით.



# ქრისტეფორეს წითელი ვარდები

ივ ფარჟი

მხატვარი დ. ხახუტაშვილი.

ქრისტეშობას დაბადებულს ქრისტინე ერქვა. ქრისტეფორე იყო ამ მომხიბლავი და ნაზი გოგონას ნათლია. დედის თვალი ფარულად ატყობდა, რომ შვილი ხელში ადნებოდა. თექვსმეტი წლისა იყო ქრისტინე და თვითეული დღე, რომელსაც მისთვის სიცოცხლე უნდა შეემატებინა, თითქოს პირიქით, ნელ-ნელა უმოკლებდა არსებობას. ასე იტყოდით, ქრისტინესათვის ცხოვრების ოკეანეს მხოლოდ უკუქცევა გაუმეტებიაო. მოხუცმა მირმა, რომელსაც რჩევა ჰკითხეს, განაცხადა, რომ ბავშვს მხოლოდ ალგზნება აკლია, მისი გულისტოკვა ნელდება, რადგან არა აქვს მიზეზი აჩქარებისა. მხოლოდ წითელი ვარდები თუ გამოაცოცხლებს ქრისტინესო.

ამ დროს ყველა ვარდი ვარდისფრად ყვაოდა, როგორც ამას ადასტურებს სახელი, რომელიც მათ შემოინახეს.



— მოუტანეთ წითელი ვარდები ნათლულს, — შეევედრა ქრისტეფორეს საბრალო დედა.

— არ ძალმიძს, ჩემო ნათლიდედ, ყვავილის შექმნა, შემიძლია მხოლოდ ქრისტეშობის ღამე გავანათო. დე, ქრისტინემ თვით აღმოაჩინოს წითელი ვარდები.

— სად წავიდეთ?

ქრისტინეს გაეგო, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ძვირფასი და იშვიათი მდიდრებსა აქვთ. შესაძლოა, მათ წითელი ვარდებიც ჰქონდეთ.

— წავიდეთ, — თქვა ქრისტეფორემ და გოგონა ზღაპრულ ქალაქში მიიყვანა, იქ, სადაც ზღვა, მზე და ყვავილები ერთმანეთს ეცილებოდნენ სილამაზესა და მომხიბლველობაში.

მარმარილოსა და ბროლის სასახლეებში ტურფა ბანოვანნი და წარმტაცი ასულნი ფუფუნებასა და განცხრომაში ნებივრობდნენ. ისე გამალებული მიდი-მოდიოდნენ, თითქოს ჩქარობენო. ქრისტინემ იფიქრა, რომ მხოლოდ წითელი ვარდების მფლობელთ ჰქონდათ ასეთი სიმკვირცხლე. და როდესაც ქალაქის ბაღებში შევიდა, თვალი მოჰკრა საუცხოო ყვავილებს და მცოცავ ვარდის ბუჩქებს, რომელთაც პალმებზე მიეტანათ იერიში. ამ ბაღებში ყველა ვარდი ვარდისფრად ყვაოდა.

— წითელი ვარდები ხომ არა გაქვთ? — მორიდებით ჰკითხა ქრისტინემ ერთ ლამაზ გოგონას, რომელმაც ვოლანის თამაში შეწყვიტა.

დიდი იყო ქრისტინეს გაოცება, როდესაც დაინახა, რომ მომღიმარი ბავშვის სახე უეცრად სერიოზული და თითქმის მოწყენილი გახდა. ბავშვმა უპასუხა:

— არა, ჩვენ არა გვაქვს წითელი ვარდები. მახსოვს, ბავშვობისას დიდედა მიამბობდა ამ ჯადოსნური ძალის ყვავილზე, რომელსაც ბედნიერება მოაქვს. წითელი ვარდები არ ხარობს ჩვენს მიწაზე. ძალიან მინდა მქონდეს, მაგრამ, აბა, სად ვეძიო?

— ჩემო ქრისტინე, ახლაც არ იტყვი უარს ვარდის ძებნაზე? — ჰკითხა ნათლიამ ბავშვს, რომელიც მარტოდშთენილი ჩაფიქრებული გაჰყურებდა სივრცეს.

— არა, საყვარელო ნათლია, — მიუგო ქრისტინემ.

— ამ გოგონას სინანულმა კიდევ უფრო გაზარდა ჩემი ცნობისმოყვარეობა. ჩვენ აქ მდიდრებთანა ვართ. როგორც ჩანს წითელი ვარდი არ იყიდება. ეს მდიდრები კი უფრო მოუსვენარნი ჩანან, ვიდრე კმაყოფილნი. მოდი და ეს მაგიური ვარდი ბედნიერებთან ვეძიოთ!

— კი, მაგრამ ვინ არის ბედნიერი?

— ჩემო ნათლია, გამიგია, რომ დიდი ქალაქის უბნებში, ბედნიერად ცხოვრობენ ზოგიერთნი, უყვართ ხშირი სტუმრობა, მისალმება, როგორც იტყვიან, საკმაოდ კარგად ცხოვრობენ და ბევრ არაფერზე ფიქრობენ ხოლმე.

— წავიდეთ! — მიუგო ქრისტეფორემ და თავისი ნათლული მიიყვანა იმ სტუმართმოყვარე და მშვიდ ქალაქში, სადაც კომფორტაბელური სახლების ფანჯრებში ხედავთ პატივცემულ მოხუცებს, მქსოველ დედებს, ნარდის თამაშით გართულ ბატონებსა და ჯანსაღ ბავშვებს.

როდესაც ქრისტინე ამ სახლების ბაღებს ესტუმრა, აქა-იქ მიმოფანტული ყვავილები დაინახა. ყველა ვარდი აქაც ვარდისფრად ყვაოდა.

— წითელი ვარდები ხომ არა გაქვთ? — მორიდებით ჰკითხა მან ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავის ბავშვს ეთამაშებოდა.

— არა, როცა ამდენი ვარდისფერი ვარდი გვაქვს, სხვა რაღად გვინდა? უდრტვინველად ვცხოვრობთ ჩვენს მშვიდ ბინებში, გვიყვარს ჩვენი ტკბილი ბედნიერება, მხოლოდ იმ ადამიანებზე ვზრუნავთ, რომელნიც ჩვენს სახლში ცხოვრობენ, და მხოლოდ იმ ყვავილებზე ვფიქრობთ, რომლებიც ჩვენს ბაღში ხარობენ. გვსმენია მაგიურ წითელ ვარდზეც, რომელსაც ბედნიერება მოაქვს და იმარჯვებს ცხოვრებაზე. მაგრამ ჩვენ ჩვენი ბედნიერება გვაკმაყოფილებს.

— არც ახლა იტყვი უარს ვარდის ძებნაზე? — ჰკითხა ქრისტეფორემ.

— არა, ჩემო ნათლია, — მიუგო ბავშვმა, რომელსაც ლოყები ვარდისფრად აეწვა და გამოხედვა კიდევ უფრო გაუცხოველდა.

— ეს ყვავილი არსებობს, რადგან ყველა მასზე ლაპარაკობს, მაგრამ ამათ რატომ არა აქვთ?

— მათ ბევრი რამ არ იციან, — მიუგო ჩაფიქრებულმა ქრისტეფორემ, — ახლა, საით აპირებ?

— მდიდრებს არა აქვთ წითელი ვარდები, ბედნიერებს კი არ უნდათ... ნათლია, ღარიბებთან რომ წავიდეთ?

— წავიდეთ, — უპასუხა ქრისტეფორემ და ნათლული ერთ ვიწრო და ბნელ ქუჩაზე მიიყვანა. გამხდარი და ცუდად ჩაცმული ბავშვები ყვირილით ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. დაქანცული დედები ვიწრო და ბნელ ბინებში ფუსფუსებდნენ. მათ ღიმილის თავიც არ ჰქონდათ.



— ვერ ვბედავ, წითელი ვარდი ვთხოვო ამ უბედურებს, — თქვა ქრისტინემ, — რომ მქონდეს, მივცემდი კიდეც.

და ამის თქმისთანავე თავი უფრო ძლიერად იგრძნო.

— ნათლია, კიდევ ვეძიოთ.

— იჩქარე, ქრისტინე, რადგან მშვენიერი ღამე უნდა ჩამოწვეს, და მე დედამიწას უნდა შემოვუარო.

შიშით და სიბრალულით შეპყრობილმა ქრისტინემ დაინახა უამრავი უბედური ადამიანი: მოხუცები, რომელთაც უგულოდ ეპყრობოდნენ, მგლოვიარე დედები, კარზე მომდგარი სიღატაკით გაწამებული ავადმყოფი მამები, ომში დასახიჩრებული ჭაბუკები, ავადმყოფობისათვის განწირული ბავშვები.

შეიგრძნო ადამიანების ტანჯვა, დაივიწყა, რომ ყვავილს ეძებდა და მოინდომა მათთვის ნუგეში ეცა. ამ ფიქრებში გართულმა, დაინახა ავადმყოფი ახალგაზრდა დედა, რომელმაც მალულად, თითქოს დასაძინებლად დატოვა თავისი პატარა ამ გაპარტახებულ ბაღში და გაეცალა...

ბავშვის მარტოობით შეწუხებული ქრისტინე მასთან მივიდა, სურდა დედის დაბრუნებამდე ეთვალთვალა პატარისათვის.

მოსაღამოვდა. დედა არ ჩანდა. ბავშვმა გაღვიძებისთანავე მორთო ტირილი. ქრისტინემ ხელში აიყვანა, ნაზად აკოცა და მისი წაყვანა ისურვა:

— ნათლია, ეს პატარა ჩემი ძმა გახდება მე აღვზრდი მას, დედა ნებას მომცემს.

მაგრამ ბავშვი მძიმე იყო მისთვის. გოგონამ წაიბორძიკა და რომ არ დაცემულიყო, ნახევრადმიშველ ეკლიან ვარდის ბუჩქს ინსტიქტურად დაეჭიდა.

მოურიდებლად ადგა, ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, ბავშვს არაფერი მოსვლოდა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ძლიერი, ლამაზი და ჯანსაღი გახდა.

ნათლია მკლავში წვდა და უთხრა:

— შეხედე!

ვარდის ბუჩქი აყვავებულიყო წითელი ვარდებით. სისხლის თითოეულ წვეთს თითო წითელი ყვავილი გაეშალა, — ყვავილი ალერსივით ნაზი, ხავერდოვანფურცლებიანი.

ნეტავი როდის გვექნება წითელი ვარდები სისხლის წვეთების დაუღვრელად?!

ფრანგულიდან თარგმნა
ნ. გუნცაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალაკტიონ ტაბიძის გამოუქვეყნებელი ლექსები



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი ქართული პოეზიის სიამაყის გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა სრულ გამოცემაზე მუშაობს. თორმეტ ტომში შევა ისეთი ქმნილებებიც, რომლებიც მკითხველისათვის აქამდე უცნობი იყო.

ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსები იბეჭდება პირველად.

## რისთვის?

რისთვის ყრმობაში ვხედავდი მეტად
უფრო მშვენიერს — ვინემ
საზიზღარს?
რისთვის ბუნებამ მშობა პოეტად,
რომ გავყოლოდი ოცნება-სიზმარს?!

რისთვის სიცხადეს, ცივს და უჭეროს,
ვეძახდი მხოლოდ დღეთ
ნათელისმარს,
იმ სიყვარულსაც ვინ დაუჯეროს,
არ დაუჯეროს იმნაირ სიზმარს!

მახსოვს მე ერთი ძველი არია,
ეხლაც რომ გული იგონებს ცისმარს.
ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია
და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს.

1908 წ.

## სჩანს ახლოა ქარიშხალი

ცა ღრუბლებით დაიბურა,
მზე მინელდა სხივმიმქრალი,
სჩანს ახლოა ალელვება,
სჩანს ახლოა ქარიშხალი!
სიო არ ჰქრის, მაგრამ მაღლა
აშრიალდა ხის მწვერვალი,
სჩანს ახლოა ალელვება,
სჩანს ახლოა ქარიშხალი!
დე, ალელდეს მთა და ბარი,
ამოვარდეს ქარი ჩქარი,
ეს სიჩუმე მე გულს მიკლავს,
სხვა ძალა მსურს, სხვა სიზმარი!

1909 წ.

* * *

სულში არ არის რამე ღრუბელი:
ნელი ქარია,
სიცოცხლე მომაქვს თავისუფალი
და მიხარია!
სულში არ არის რამე ღრუბელი
ბინდის მფენარი,
ყვავის ალუჩა, ალუბალი
და ცინერარი.
ქვეყნად არ არის რამე ღრუბელი
და გულდაკოდვა,
ოჰ, მათ ავუგი მაინც, უფალო,
დიდია ცოდვა!
ცოდვა ცოდვაა, რომ დღეს ციერი
მაქვს ქნარი დარის,
რომ ჩემზე დიდი და ბედნიერი
დღეს არვინ არის.

1921 წ. თბილისი.

* * *

ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!
ნახვამდის ლექსებო, კამარა,
ჩემს გზაზე რაც უნდა დაღამდეს,
ვარ თქვენზე ოცნების ამარა!
მგზავრობა გქონდეთ კეთილი
და მინდა გისურვოთ მხოლოდ ეს,
რომ როგორც ქვითკირის კედელი
მფარველად სიმართლე გყოლოდეთ.
ნუ სძრახდეთ მართებულ ყიჟინას,
ნურც რისხვა გაკრთობდეთ უხეში,
თვალი არ უქციოთ მტრის ჭინას,
დაღლილსაც ხომ უნდა ნუგეში.
უთხარით ცხოვრების ნამგალი
გასჭედოს, მოხაროს, მიხაროს,
რომ აქვე ბევრია სამკალი,
რომელიც იძლევა სიხარულს.
ნახვამდის ლექსებო! მძლე გუნდით
გაჰკვეთეთ ქარი და ნატბარი,
გასწიეთ და ისევ დაბრუნდით
მკითხველის გრძნობებით გამთბარი!

11 ნოემბერი, 1923 წ.



ნახ. თ. გოგოლაძისა.



„კულინარიის კურსებზე" გაცხოველებული მეცადინეობა მიმდინარეობს.



დედა კმაყოფილია მანანას ნაწერით.

# სოფელში ცხოვრობს ექიმი

სოფლის ბოლოში გასულმა მარგალიტამ ფრთხილად მოლია დაფერდებული თავ[...] და ხევში დაკარგულ გზაზე გავიდა.

— იქნებ ისა სჯობს, მარლიანთ კარში გავათენო ღამე, გათენების ხანს კი ცხენდაცხენ გადავიდე წიფლის წყაროში, — ფიქრობდა გათოშილი მგზავრი და შეშფოთებით გასცქეროდა თოვლით დაფარულ ხეობას, — მაგრამ ვინ იცის? მდგომარეობა იქნებ მეტად სერიოზულია და წუთითაც კი აღარ შეიძლება ჩემი დაგვიანება...

გაუკვალავ თოვლში ხრამა-ხრუშით მიმავალმა მგზავრმა ის იყო სულის მოსათქმელად ხის გადანაჭერზე ჩაიმუხლა, რომ ძაღლების მორეული ყეფა შემოესმა.

— მოვსულვარ და ის არის! — ჩურჩულით ჩაილაპარაკა მან და კმაყოფილებ[...]ის ღიმილით გაებადრა სახე.

უკვე ბნელოდა, როცა სოფლის შარაზე გასულმა მარგალიტამ კითხვა-კითხვით მიაკვლია კუნდუხაშვილების სახლს.

უხმაუროდ აათავა სახლის დათოვლილი კიბე, ფართო აივანზე შედგა და, ვიდ[...] მასპინძელს შეეხმიანებოდა, მოგიზგიზე ბუხრით სანახევროდ განათებულ ოთახს მ[...]ავლო თვალი.

ცეცხლის მკრთალი ნათელი ლიცლიცით ეცემოდა შესასვლელთან ზურგშექცევ[...]ით ჩამომჯდარ ქალს, რომელიც მდუმარედ ჩასცქეროდა ტახტზე გაშოტილ მამაკაცს.

ფრთხილმა კაკუნმა შეაკრთო ქალი, დაფეთებული წამოენთო ადგილიდან, მაგრამ კარის გაღებისთანავე შეცბუნებულმა უკან დაიხია და გაოცებული მზერა შეაგება ოთახში შემოსულ უცნობს.

— ექიმი გვეგონეთ, — უპეებჩაღამებული თვალები შეანათა ქალმა ახლადმოსულს და მაშინვე ქვითინით დასძინა, — ლამის არის მეუღლე ხელიდან გამომეცალოს... ჩვენი ექიმი კი მთასავით მოსული კაცია და ალბათ გათენებამდე მაინც ვერ გაბედა ამ ქარბუქში წამოსვლა.

უსიტყვოდ გაიძრო პალტო მარგალიტამ, სწრაფად გადახსნა მუხლზე ჩამოდებული ტყავის პატარა ჩემოდანი და თავი არც აუწევია, ისე ჩაილაპარაკა:

— იმ ექიმის ნაცვლად ახლა მე ვმუშაობ!...

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს მარგალიტას. ორივე ფილტვის მწვავე ანთება უაღრესად დაძაბულ ყურადღებას მოითხოვდა მისგან. მალ-მალე ამოწმებდა ავადმყოფ[...]ის მოხშირებულ სუნთქვას, ხან კიდევ სველ ტილოსა და სახელდახელოდ მომზადებულ მდოგვის საფენებს უცვლიდა უილაჯოდ მისვენებულ ავადმყოფს.

უკვე კარგად იყო მოდღევებული, როცა ექიმმა ერთხელ კიდევ გულდასმით გასინჯა გამოცოცხლებული ავადმყოფი, საჭირო რჩევა-დარიგებები მისცა დაიმედებულ ახლობლებს და მერე გამარჯვებული ადამიანის ღიმილით დასძინა:

— შებინდების ხანს ისევ გეწვევით, ახლა კი წავალ, სხვებს უნდა მივხედო!..

თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა ამ ამბის შემდეგ, მაგრამ მარგალიტა კაკაბაძეს დღესაც კარგად ახსოვს ის ქარბუქიანი ღამე, ახსოვს, რადგან ცხოვრების დიდ გზაზე გამოსული ექიმისათვის ეს იყო პირველი წარმატება, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების პირველი ზეიმი.

1938 წელს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მარგალიტა კაკაბაძე თავის მეუღლესთან — არჩილ ღუდუშაურთან ერთად კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში დასახლდა. ამ დღიდან მოყოლებული, იგი უანგაროდ და ჩვეული გატაცებით ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. 1951 წელს მისი თაოსნობით ლამისყანაში მოეწყო 10-საწოლიანი კეთილმოწყობილი საავადმყოფო, რომლის მთავარ ექიმადაც იგი დანიშნეს. ყოველ დღე, ყოველ საათს შეუპოვრად იბრძვის სოფლის მკურნალი სნეულებათა წინააღმდეგ, სიცოცხლისა და სიხალისის აყვავებისათვის.

უკვე ჭაღარამ იელვა თმებში, თვალის უპეებთანაც პატარ-პატარა ნაოჭები დაახდნენ, მაგრამ ამაგდარი ექიმი კვლავ ახალგაზრდული გზნებით ამბობს ხოლმე:

— ახლა კი წავალ, სხვებს უნდა მივხედო!..

მიდის ექიმი ახლო-მახლო სოფლებისაკენ, რომლებსაც წლების მანძილზე ემსახურება, მიდის და სიხარულით ევსება გული. აბა როგორ არ უნდა უხაროდეს, როც[...] გზადაგზა ტკბილი ღიმილით ეგებებიან მადლიერი ბავშვები და მოხუცები, კუნთმაგარი ვაჟკაცები და მზედაკრული ქალები.

ყველგან, სადაც კი გამოჩნდება ეს წარმოსადეგი, სანდომიანი სახის ქალი, ულევ[...] სითბო და ენერგია, იმედი და ნუგეში ისადგურებს. მისი მშვიდი და დამაჯერებელ[...] საუბარი გამოჯანმრთელების რწმენას უნერგავს ავადმყოფს, იმედითა და სიხარულით ალაჟსებს სასოწარკვეთილ ახლობლებს...

თავდადებული შრომისა და საერთო სიყვარულის შედეგი იყო ის, რომ მარგალიტა კაკაბაძეს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება მიანიჭეს. მადლიერმა მშრომელებმა ოთხჯერ აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად, ხოლ[...] ახლახან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით, მადლობა გამოეცხადა „სამედიცინო მომსახურების სანიმუშოდ დაყენებისათვის".



ახალდაბადებული ტყუპები ჯანმრთელები არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ათასგვარი საქმეებით გადატვირთულმა ექიმმა ახლახან „კულინარიის კურსები" გახსნაც ითავა და ახალგაზრდა დიასახლისებს კვირაში ორჯერ გულმოდგინედ ასწავლის ნამცხვრების დამზადებას, სხვადასხვა საკმაზების შეზავებას და გემრიელი კერძების გაკეთების „საიდუმლოებას".

...შეხვალთ სოფლის ექიმის ოჯახში და მაშინვე სიფაქიზე და საამო მყუდროებ[...] გაგიხარებთ გულს. სადად და გემოვნებით მორთულ ოთახებში ყველაფერს ატყვია დიასახლისის გამრჯე და მზრუნველი ხელი.

სადილობის ხანს შინ მობრუნებული ცოლ-ქმარი ღიმილით მიუსხდებიან ხოლმე მაგიდას და კმაყოფილი სახით გასცქერიან თავიანთ ქალიშვილს მანანას, რომელიც სწრაფად და მოხდენილად აწყობს სუფრას.

— დევდარიღა გვაკლია! — ცოტა გულნაკლულად იტყვის ხოლმე ოჯახის დედა და მაშინვე იმედიანად დასძენს, — მალე არდადეგები დაიწყება და თბილისიდან სტუდენტი ბიჭიც გვეწვევა...

ხშირად, ძალიან ხშირად სახლში მოფუსფუსე დიასახლისს სასწრაფოდ გამოიძახებენ ხოლმე ავადმყოფთან, და კვლავ ნაცნობი გზებითა და ბილიკებით ოჯახებში იმედის შუქის შემტანად მიემურება სოფლის ნაცადი მკურნალი, მიემურება და თანასოფლელთა კეთილი სალამი და მადლიერი ღიმილი მიაცილებს თან.

— იხარე, ჩვენო მარგალიტა, ნურასოდეს ნუ მოგვეშლება შენი თბილი სიტყვა და კეთილი ხელი!..

ო. ალანიძე

ფოტო ე. პესოვისა.

## ქრონიკა

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე არსენ ფორჩუა ვირტუოზულად ფლობს ხის დასამუშავებელ საჭრისსაც. მის ხელში ცოცხლდება ხე, რომელსაც იგი ქართული ჩუქურთმის ულამაზეს ნაქარგებით ამკობს. ხეზე ამოჭრისა და ხატვის სიყვარული მისი მეორე პროფესიაა.

ფერწერის გამოჩენილ ოსტატ ლადო გუდიაშვილთან დიდი ხნის მეგობრობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 1953 წლიდან იგი სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს.

ამას წინათ, არსენ ფორჩუა მიღებულ იქნა მხატვართა კავშირის წევრად.



სურათზე: არსენ ფორჩუა მუშაობს დეკორატიულ ვაზაზე.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

თბილისში ჰიდრომელიორაციის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის კლუბში გაიხსნა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების მოძრავი გამოფენა, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა, მოსკოვის პოლიტექნიკურმა მუზეუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტმა.

გამოფენაზე სხვადასხვა რესპუბლიკებიდან წარმოდგენილია 50 ხელსაწყო, რომლებიც გამოიყენება ქიმიაში, მეტალურგიაში, მსუბუქ მრეწველობაში, მშენებლობებზე და მეურნეობის სხვა დარგებში.



ფოტო ბ. თიკანაძისა

ქრონიკა ქრონიკა



როგორც გამოირკვა, მარჯორი უორდროპს ეს ბარათი, რომლის ტექსტი მოგვყავს აქ მთლიანად, გაუგზავნია ქუთაისში ბესარიონ ხელთუფლიშვილის მეუღლე ფედოსია ფირონის ასულ ლორთქიფანიძე-ხელთუფლიშვილისათვის. ხელთუფლიშვილის ოჯახი იმ დროს ქუთაისში ერთ-ერთ მოწინავე ქართულ ინტელიგენტურ ოჯახად ითვლებოდა, რომლის არა იშვიათი სტუმარი იყო მარჯორი უორდროპიც. ამ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ აკაკი, გრ. აბაშიძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი) და სხვანი. რაც შეეხება წიგნს, რომელიც ფედოსია ფირონის ასულს გაუგზავნია მარჯორი უორდროპისათვის, გახლავთ ახლად გარდაცვლილი (1902 წ.) მიხეილ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილის ცნობილი შრომა „Вступление Грузии в состав Российской империи", რომელიც გამოცემულ იქნა 1901 წ.

წერილის ტექსტის გაცნობა ნათელყოფს, თუ რაოდენ კარგად უფლობდა დაუფლებული ქართულ ენას „ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი მთარგმნელი ინგლისურ ენაზე.

# უორდროპის უცნობი წერილი

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის, განსვენებულ პლატონ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილისაგან ნაბოძებ წიგნებში აღმოჩნდა ერთი წერილი. ამ ბარათის ავტორი არის ქართული კულტურის მოამაგე, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, შესანიშნავი ინგლისელი ქალი მარჯორი სკოტ უორდროპი.

როგორც ამ ბარათის ტექსტიდან ჩანს, მარჯორი უორდროპს წერილი მიუწერია „დიდად პატივცემულ და მოწყალე ქალბატონისათვის" ქერჩიდან, სადაც იმ დროს (1902 წ.) იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის საკონსულოს წარმომადგენლობა. ბარათის ავტორი მადლობას უხდის ქართველი ოჯახის დედას, რომელმაც გარდაცვლილი შვილის ახლად გამოსული წიგნი საქართველოდან ახლახან დაბრუნებულ მარჯორი უორდროპს ქერჩში გაუგზავნა. ტექსტიდან ჩანს, რომ წიგნზე ხელით მოხატული ყოფილა საქართველოს სახელმწიფო ღერბი, რაზედაც მარჯორი უორდროპი განსაკუთრებით მადლობას უთვლის გარდაცვლილის დედას.

აი, მისი წერილის ტექსტიც:

„დიდი ბრიტანეთის საკონსულო
ქერჩი (თავრიდ. გუბერნ.)
ვარდობის თვე 22. 1902 წ.

დიდად პატივცემულო და მოწყალეო
ქალბატონო!

ეს არის ორი კვირა მივიღე თქვენი მოგზავნილი წიგნი და ყოველ დღე მინდოდა ბარათს მიგწერდი, მაგრამ სამწუხაროდ, დრო არა მქონდა. ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი ძვირფას სახსოვრისათვის, წავიკითხე დიდ სიამოვნით თქვენი ნიჭიერი ძის თხზულება და ქრიგლოვ თქვენთან, რომ შეუბრალებელმა სიკვდილმა უდროოთ წაგართვა ასეთი იმედის მომცემი შვილი. ამ წიგნი ჩემთვის ძვირფასი არის ორი მიზეზისათვის: ამისათვის რომ მწერლის დედამან მიბოძა და ამისათვის, რომ მასში საქართველოს ღერბი ხელთნაწერილია.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მადლობა და მოკითხვა. ჩემმა ძმა პატივცემული მოკითხვა გიძღვნის თქვენს და თქვენს ოჯახს. გარდაეხცეთ ჩვენი მრავალი მოკითხვა ყველას ნაცნობს ქუთაისში.

თქვენი პატივისმცემელი და კეთილისმსურველი
მარჯორი უორდროპი."

## სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი

20 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა შეაჯამეს გასული სამეურნეო წლის შედეგები, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, კონკრეტული გზები დასახეს მეიდწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: გ. ს. ძოწენიძემ, გ. ა. გეგეშიძემ, დ. გ. სტურუამ, ვ. მ. სირაძემ, მ. მ. ღლონტიშვილმა, ა. ტ. სტუჩენკომ, ი. გ. რთველიაშვილმა, გ. ი. ჩოგოვაძემ, შ. ი. ჭანუყვაძემ, ო. ე. ჩერქეზიამ.



# ერთი თვე გდრ-ში



ზურაბ ლეჟავა

ნახატები ავტორისა.

უამრავ შთაბეჭდილებათა შორის, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივიღე, მინდა ზოგიერთ მათგანზე ვუამბო ჟურნალ „დროშის" მკითხველებს.

არ შემიძლია მადლობის გრძნობით არ აღვნიშნო ის დიდი ყურადღება, რომელსაც არ მაკლებდნენ გერმანელი მხატვრები, ჩემი ახლად შეძენილი მეგობრები, განსაკუთრებით პროფესორი ალფრედ კურელა, რომლის დახმარებით შევძელი შედარებით მოკლე დროში ახლოს გამეცნო მისი ქვეყანა.

ვიყავი ბერლინში, დრეზდენში, ლაიპციგში, კვიდლენბურგში, დავათვალიერე „საქსონიის შვეიცარია".

22 ნოემბერს ჩავფრინდით ბერლინში, ღამის ბერლინი მეტად პირქუშად გამოიყურებოდა, მაგრამ რაღაცით მიმზიდველი იყო. შენობებზე ზომიერად განლაგებული შუქ-რეკლამები ამშვენებდა ქალაქს. მდინარე შპრეეში მოცურავე გარეული იხვები და თოლიები ინტიმურსა და მიმზიდველს ხდიდნენ ბერლინს.

დავათვალიერე ბერლინის განთქმული მუზეუმები, რომლებმაც გამაოცა ექსპონატების სიმდიდრით, აქ ნახავთ ეგვიპტური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული ხელოვნების შედევრებს. დავათვალიერე ბერლინის, დრეზდენის, ლაიპციგის სამხატვრო აკადემიები, სადაც გავეცანი სწავლების საინტერესო მეთოდებს.

დრეზდენიდან ორმოციოდე კილომეტრითაა და-



ლაიპციგი. წმიდა თომას ეკლესია.



ბერლინის ხედი სასტუმრო „სოფიიდან".



ბერლინის ქუჩაში.



სასტუმრო „ნევის" ფოიეში (ბერლინი).

შორებული „საქსონიის შვეიცარია". „კოპენშტეინიდან" (მაღალი ქვები) იშლება თვალწარმტაცი სანახაობა. ასევე ლამაზია ელბის ხეობა თავისი მრავალფეროვანი რელიეფით, ტყეებით, პატარა გერმანული სოფლებით. ალარაფერს ვამბობ დრეზდენის სურათების გალერეაზე, რომელიც კარგახანს იყო ექსპონირებული მოსკოვის ხელოვნების მუზეუმში. დრეზდენის გალერეის აღდგენა დღესაც გრძელდება. სარესტავრაციო განყოფილებაში ნახავთ ტიციანის, გოგენის, დიურერის და სხვა დიდ ოსტატთა ნამუშევრებს, რომლის აღდგენაზე დიდი სიფაქიზით მუშაობენ დრეზდენელი სპეციალისტები. დრეზდენს სიძველის სურნელი ასდის. ნანგრევებს შორის აზიდულია დრეზდენის რატუშა. იგი ომის კვამლითაა გამავებული.



ალფრედ კურელა— გდრ-ის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის მდივანი.

ლაიპციგში შევხვდი „ავტომატური დაზგების სახალხო წარმოების“ მუშებს. ვიყავი ლაიპციგის ცნობილ სტამბებში. ისინი დამსახურებულად ატარებენ მსოფლიოში საუკეთესოს სახელს. ლაიპციგის ქუჩები ცოცხალი, ხალხმრავალია. განსაკუთრებით კი ეს იგრძნობოდა ახალი წლის წინა დღეებში. სპეციალურად მოწყობილ კონსტრუქციაზე, პატარა ვაგონეტებში სხედან ჯგუფები. მიექანებიან სხვადასხვა მიმართულებით, ისმის სიცილხარხარი, მხიარული შეძახილები. მრავალი ფარდული საგანგებოდ განათებულია სხვადასხვა ფერის ნათურებით, სავსეა სათამაშოებით, საახალწლო საჩუქრებით, ყვავილებით, ტკბილეულით. საჩუქრებს შორის ცოცხალ ბატებსაც შეხვდებით, რომლებიც საერთო მხიარულებას უერთებენ თავიანთ „სასიამოვნო“ ხმებს. ლაიპციგში ვნახე ძველებური, მე-16

დრეზდენის ხედი სასტუმრო „ასტორიადან“.



კვიდლინბურგი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის დროინდელი ტრაქტირი, რომლის ხშირი სტუმარი ყოფილა გოეთე.

მოვისმინე ბეთჰოვენის, ვებერის, შოსტაკოვიჩისა და სხვათა ნაწარმოებები ლაიპციგის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ბრწყინვალე შესრულებით (დირიჟორი ფრანც კონვილშნი).

14 იანვარს გავემგზავრეთ კვიდლინბურგში. გზაში თოვდა, ძლიერი ყინვების გამო ბევრი რამ დამრჩა დაუხატავი კვიდლინბურგში, რომელიც თავისი პატარა, ლამაზი ქუჩებით, გოთური კოშკებით, კოპწია სახლებით, მეტად მიმზიდველია. აქ არის მე-14, მე-15 საუკუნეთა ხის შენობები, რომლებსაც მუდმივი რესტავრაციით უნარჩუნებენ პირვანდელ სახეს.

მუშაობისას ხშირად გარს მეხვეოდნენ ბავშვები, ბავშვები, რომლებიც თავიანთი ცნობისმოყვარეობით და გულუბრყვილო შეკითხვებით არასოდეს არ გიშლიან, პირიქით, მათი გულუხვი „ზერ გუტ, ზერ შოინ“, გამხნევებს და შენც დარწმუნებული შენს „მაღალ ოსტატობაში“ მეტი ხალისით აგრძელებ ხატვას. დამშვიდობებისას ვაყოლებდი მათ



ლაიპციგის სახალხო მეურნეობის დაზგების ქარხნის მუშა ჰელმუტ ზელტმანი.

დრეზდენი. სასტუმრო „ასტორიას“ ბარში.





ქუჩა ბერლინში.





მდ. შპრეეში.



დრეზდენის სამხატვრო აკადემიის IV კურსის სტუდენტი როზმარ კლაუზენი.



თვალს და ვუსურვებდი მშვიდობიან ცხოვრებას.

ვუსურვებ ბედნიერ ცხოვრებას გერმანიის მშვიდობისმოყვარე მშრომელებს. დე, მდინარე შპრეეში უწყინარ ფრინველთა მეგობრობა იყოს სიმბოლო ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა.

სამშობლოში რომ დავბრუნდი, თან ჩამომყვა საუკეთესო გრძნობები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და ჩემს სტუმართმოყვარე მეგობრებზე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბესიკის ქუჩის აყოლებაზე მხარმარცხნივ გამწკრივებულ შენობებს შორის თითქმის ერთი საუკუნეა დგას ეს სახლი.

ქუჩის პირისკენ სამი ფანჯარა იხედება. სამივე გულკეთილი კაცის შუბლივით ღიაა და ფართო.

თბილისური გაზაფხული კარზე მომდგარა და ვარდფურცლოვანი დღეები ერთბაშად მოჯარულან. ჭადრის ტოტები ამწვანებულა. თოთო, ახალამოყრილ ფოთლებში ჩიტუნები ჟივჟივებენ და ჰაერში ტრიალებს სასიამო სუნი, მარტს რომ შემოჰყვება ხოლმე.

ამ სახლშიც შემოსულა მარტი. ამ ჭერქვეშეთშიც ჩამოუხედავს გაზაფხულის მწვანე თვალს. ლარნაკში ჩაულბიათ კონა-კონა იაია. გამაბრუებელი სურნელება ათბობს სულსა და გულამდე ჩადის.

ოთახებში სიჩუმეა, თავისებური, მრავლისმთქმელი სიჩუმე და მყუდროება...

ფეხაკრეფილი გაივლი სადარბაზო შესასვლელს, თვალს მოავლებ განიერ დერეფანს. ყველა კუთხე და კუნჭული ნაცნობია და ახლობელი.

თითქოს ახლაც, აი, აგერ, იმ კუთხეში განუყრელი ხურჯინი მიუყუდებია მთიდან ეს-ესაა ჩამოსულ ლუკა რაზიკაშვილს. წითელ-წითელი ყაყაჩოებით აბრიალებულ არაგვის ჭალებზე გადმოუვლია ლუკას. არაგვის წითელი კოწახური მოსაწყვეტი ღილივით შერჩენია ხურჯინის თავსაკრავს. ხურჯინი ამოცლილია და შიგ აღარ ელვარებს ბლის კუნწულებივით ასხმული ვაჟაური ლექსები. ყველაფერი, რაც გულიდან ამოუბერტყავს, უთქვამს და სდომია ყმაწვილებისათვის, აქვე, პირველ ოთახში, ტანმორჩილი ქალი რომ შეგხვდება, მისთვის ჩაუბარებია და მიუნდვია.

პირველ ოთახშიც შეხვედი ასევე უხმოდ, ფეხაკრეფით. ოთახში სიჩუმე მოძალებულა და ტანმორჩილი ქალი ჩვეული ღიმილით, ლუკა რაზიკაშვილს რომ შეხ-



# იქ ჩუხჩუხებდა „ნაკადული“

**ვასილ გეგაძე**

ფოტო ო. თურქიასი.

ვედრია, როდი გხვდება: მუშტივით მოკეცილი და მხრებში მოხრილი ლოგინზე წევს და თვალებზე ხელისმოჩრდილვით გაცქერდება. სინათლეს ვერ უძლებს, თვალს სჭრის.

აზრიანად, ყუჩად და უხმაუროდ მიდის მისი ცხოვრება. გამრჯე ფუტკრის გულმოდგინებითა და მუყაითობით უკეთებია საშვილიშვილო საქმე. ერთიანად გათეთრებულა ოთხმოცდაათი წლის მიჯნაზე. დაპატარავებულა სწორედ ისე, როგორც ეს ღრმად მოხუცებს ემართებათ.

საწოლზე წევს ნინო ნაკაშიძე — ჭეშმარიტი შემოქმედი, მრავალ თაობათა სწავლა-აღზრდაზე ნამაგდარი ქალი. დაღლილია და დასუსტებული ჩვენი ყრმობისა და ბავშვობის, ფიქრისა და ოცნების მესაიდუმლე დეიდა ნინო — წყაროს თვალივით ამოუცლელი, წმინდა და კრიალა „ნაკადულის“ მეორე დედა; მეორე, უცვლელი რედაქტორი.

ამ კედლებში ცხვებოდა სულისა და ცოდნის არსობის პური — ჟურნალი „ნაკადული“, თავაუღებელი შრომითა და გარჯით იქმნებოდა და იბადებოდა მისი ყოველი ნომერი. აქ სათავეს იღებდა, იწმინდებოდა და კამკამით მიედინებოდა ბავშვური სიცოცხლის ეს მართლაც ხალისიანი ნაკადული. ამ გულვარდიან ჟურნალზე გაზრდილებს სამკურნალო ბალახებივით გვიკრეფია მის ფურცლებზე მიმობნეული მსუყე და ღონიერი სიტყვები; დედის რძესავით შეგვრგებია ქართული ლექსის თაფლი.

შემოივლიდა აკაკი — თოვლივით თეთრი და სათნო. კედლები განათდებოდნენ, ჭერი მაღლა აიწევდა. ყმაწვილებისათვის დაწერილ ნარნარ და უხინჯო ლექსს ნინოს გადასცემდა. ცოტას გაიხუმრებდა. თვითონაც გახალისდებოდა და სხვასაც გაახალისებდა. მუხლს ჩაიხრიდა, ჩამოჯდებოდა. თვალს მიმოავლებდა ოთახს: რედაქციაში სიცოცხლე, სიყვარული და საქმიანი განწყობილება სუფევდა.

შემოივლიდა იაკობ გოგებაშვილი — საბავშვო ლიტერატურის მამა და უბადლო პედაგოგი. იაკობის მადლიანი მოთხრობები, რჩევა-დარიგებანი ძილისპირულივით ტკბილი იყო და სათნოებით ავსებდა ბავშვის სულს.

შემოიჭროლებდა შიო მღვიმელი. კეთილი ღიმილი სახიდან არ შორდებოდა. ბავშვურად სუფთასა და ალალ ძია შიოს პატარა რამ ახარებდა და გულთან მიჰქონდა მცირედი ტკივილიც კი, თუკი მას საზოგადო ეწოდებოდა.

ნიკო ლომოურსა და სოფრომ მგალობლიშვილს არ ავიწყდებოდათ „ნაკადული“. ნოე ჩხიკვაძე, იროდიონ ევდოშვილი, თედო რაზიკაშვილი და ბაჩანა ხშირად სწვევია რედაქციას.

„ნაკადულთან“ ახლო იდგა იმ დროის თითქმის ყველა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ნახევარი საუკუნის წინათ „ნაკადულის“ ფურცლებზე იბეჭდებოდნენ და ფრთებს შლიდნენ ახლა სახელგანთქმული მწერლები: შალვა დადიანი, გიორგი ქუჩიშვილი, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი და სხვანი.

„ნაკადულის“ პირველი რედაქტორის მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ ნინო ნაკაშიძე მთელი ჩვიდმეტი წელიწადი სათავეში ედგა ჟურნალს.

„ნაკადულის“ რედაქტორსა და მის მესვეურებს მხოლოდ ერთი აზრი და გულისთქმა ამოძრავებდათ: პატარა მკითხველები აღეზარდათ სამშობლოს მოყვარულ ადამიანებად; თვალვარსკვლავიან გოგო-ბიჭუნებს შთააგონებდნენ ებრძოლათ, ეშრომათ და ემოღვაწევათ მომავალი ცხოვრების გასაუმჯობესებლად; არ დავიწყებოდათ, რომ ყველაზე მაღალი და სპეტაკი გრძნობა, რაც კი ადამიანს გააჩნია, ეს არის გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა.

ასეთი კეთილშობილური სურვილებით ვაჟსჭკალული ნაკადულელები დღედაღამ ერთზე ფიქრობდნენ, ერთზე ოცნებობდნენ: ბავშვისათვის მიეცათ მაღალმხატვრული სულიერი საზრდო. სანთელივით აინთეს და წინ წარიმძღვარეს ბესარიონ ბელინსკის ნათქვამი: „წიგნს, რომელიც იწერება ბავშვებისათვის, უნდა ეჭიროს ბავშვთა აღზრდის საქმეში ერთი უმთავრესი და უაღრესად საპატიო ადგილი“.

ნაკადულელები კვირაში ერთხელ იწვევდნენ სარედაქციო სხდომებს. ეწყობოდა მწერალთა, მთარგმნელთა და ჟურნალის გულშემატკივართა კრებები. იხილავდნენ მასალებს ხელმოუწერლად, ავტორის გვარისა და სახელის გარეშე. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ორმოციორმოცდაათი ნაწარმოებიდან მოუწონებიათ მხოლოდ ორი-სამი...

დაფიქრებული ზიხარ და ფურცლავ „ნაკადულს“. ფურცლავ და შენშიც გადმოდის ის სითბო, რომელიც მასშია ჩაღვრილი. ასე გგონია, სულ ახლახან იწყობოდა, იკვრებოდა და დასაბეჭდად მზადდებოდა ეს ნომრები. თითქოს ოთახებში ისევ დადიან იმ ჟურნალის პირველი მეჭირისუფლეები.

აი, ნინო ნაკაშიძის პირველი საბავშვო მოთხრობაც „დამეგობრდნენ“. აქვეა ჟურნალის 1905 წლის იანვრის ნომერი. ნომერში მოთავსებულია ნინოს მეორე საბავშვო მოთხრობა „საახალწლო საჩუქარი“.

ხელმეორედ კითხულობ ჟურნალის ყვითელ ფურცლებზე აღბეჭდილ მოთხრობებს და გაგონდება მხცოვანი მწერლის სხვა ნაწარმოებები: მეხსიერებაში ცოცხლდებიან ადამიანის სულიერ ტკივილთა და ვაებათა შემაძრწუნებელი სურათები მოთხრობა „ძიძადან“; საწყალობლად გაიელვებენ დიდი მხატვრული ოსტატობით დაწერილი დრამის „ვინ არის დამნაშავე?!“ — პერსონაჟები; თვალი მიეტანება ნინო ნაკაშიძის სქელტანიან წიგნებს, რომელთაც კარგად იცნობს ქართველი მკითხველი; გაწუწული წიწილებივით გამწკრივდებიან საბავშვო მოთხრობათა პაწია გმირები.

შეჰყურებ ლოგინზე წამომჯდარ მხრებგამხდარ მწერალს და თვალწინ გიდგება შფოთიანი წლები, როცა ეს მოთხრობები იწერებოდა. მოხუცის ბაგეები კვლავინდებურად ჩურჩულებენ სიტყვებს, რომელიც მან თავისი ერთი მოთხრობის გმირს ათქმევინა: „ყორიფელს ადამიანის გული ჯობს“.

კეთილშობილური გრძნობა, რომ ადამიანს ბედნიერება მიანიჭო, რომ ყველაფერს ადამიანის გული ჯობს — ნინო ნაკაშიძის მთელი შემოქმედების დედააზრია. მისი მოღვაწეობაც ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში ამითაა გამორჩეული.

ოთახში ფიქალის ღუმელია. წინათ ოთახს კედლის ღუმელით ათბობდნენ. გამოდარებულა და ორივე ღუმელს დრო და ყავლი გასვლია. იგი რატომღაც კედლის ღუმელისაკენ იხედება. ვინ იცის, რას იგონებს, რა ახსენდება დეიდა ნინოს. იქნებ ცოცხლად მოლანდა ისინი, რომლებიც ერთ დროს ამ ღუმელთან ისხდნენ და მომავლის დღეებზე ოცნებობდნენ. ბევრ მათგანს ვერ აუხდა ოცნება. ნინომ საკუთარი თვალით იხილა, რისთვისაც ილწვოდა; მოიმკა, რაც დათესა. მისი მხატვრული სიტყვაც ხნულში გადასროლილი ჯანსაღი მარცვალივით გაღვივდა ხალხის გულში. სწორედ ამიტომ, მადლიერმა ხალხმა და სამშობლომ ასეთი პატივით აღნიშნა ნინო ნაკაშიძის დაბადების ოთხმოცდაათი წელი.

რუსთაველის პროსპექტიდან ჭადრების შრიალი მოდის. ჰაერი ამოვსებულია გაზაფხულითა და ფოთლების შრიალით. შრიალი მოხუცის ყურამდე ბუნდად აღწევს. მოხუცი უფრო სუნით გრძნობს გაზაფხულს, ბევრჯერ განცდილი ნაცნობი სუნით... აყვავებული ტყემლის სურნელებაც იღვრება გულში. გაზაფხულის სუნთქვაც ხელშესახებია. თმაზე კი დაბრძანებულა ზამთარი.

წამოსვლისას შენსკენ გადმოხრილი ნინო ნაკაშიძე ერთხელ კიდევ გაიხსენებს 1904 წლის ნოემბრის ქარვიან დღეებს, როცა აქ „ნაკადულის“ პირველი და მეორე ნომრები კაბადონდებოდა. მაშინ კუნაპეტი ღამე იწვა თბილისის თავზე და რევოლუციურად განწყობილი მშრომელი ადამიანები უკუღმართობის დასამხობად რაზმავდნენ ძალებს. მას შემდეგ ორმოცდათვრამეტი წელი გავიდა. ორმოცდათვრამეტჯერ მოვიდა გაზაფხული, შემწვანდა ბუნება და ცხოვრებასაც გაზაფხული დაერქვა...

სახლი №2 ბესიკის ქუჩაზე, სადაც ჩუხჩუხებდა „ნაკადული“, ნირშეუცვლელია და გაზაფხულივით დაუბერებელი...

ამოდიხარ ბინიდან ისე, როგორც არქივიდან, სადაც ინახება ძველი პერგამენტები, ფურცლებშეცრეცილი წიგნები და ტომებად შესაკინძი ფოლიანტები. რაღაც საოცარ სიმძიმეს გრძნობ. ერთხელ კიდევ მიიხედავ მისკენ სიყვარულით, მადლიერებით.

გარეთ ტყემლები ჰყვავიან. კარგია ახლა თბილისის ქუჩებში გავლა...



37

# მინა

## კარლო კალაძე

ბნელი სურათი: ბნელი ცა
ორთავიანი არწივით!
ბნელს, კვალი შენი თითების
აჩნია განაკაწრივით.

ქარი ჯერ კიდევ ქალაქში
წრიალებს ლამენათევი,
ბრძოლაში ცხრა ძმა დაეცა,
დაეცა ნაძალადევი..

ესლაა შენი ლეგენდა,
შენი ლექსი და იგავი,
შენ ჩვენი მინა კი არა,
ჩვენი არსენაც იყავი.

ლალი მხარ-ბეჭი გქონია,
ლალი და სამართლიანი,
შენც ხომ ვაშლივით გიყვარდა
ხელში ყუმბარის ტრიალი.

აკი შენც დედაქალაქმა
საყვარელ შვილად გახსენა,
მისი დამწვარი გულისთქმა
შენ ხარ და შენი არსენა.

შენს ერთ გაბედულ სიცოცხლედ
ღირდა უთუოდ ეგ, მინა, —
ერთი გასროლით, შენს ქალაქს,
რომ აგრე ამოეგმინა!

ვერ დავიტირე აქამდის,
მინავ, ეგ შენი სამარე:
ხიშტებქვეშ ისე დაეცი,
ჰრილობა ისე დამალე.

ვერ გამოგარჩევ ცხრა ძმაში,
ძმობა ურღვევი ყოფილა;
ცხრანივე განა სიცოცხლემ, —
სიკვდილმაც დააძმობილა!

მათი ამბავი ამაო
სიტყვას არ მოუტანია:
აქ, ახლა ცხრა ძმის ქუჩაა,
და ცხრა ძმის მოედანია...

ჩვენს დედაქალაქს ამ დილით
ამაყად გადმოვადექი,
ისე, ვით მათი ძმისწული
და მათი მკერდის ნატეხი.

# დები

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

პატარა დები, ლამაზი დები —
მზია და ნანა, ნანა და მზია:
მზის ყოველ მოსვლას ფრთხიალით
ხვდებით
და თქვენს თვალებში ციმციმა მზეა.

ახლა კი ღამე გიშრის თელებს აბნევს,
ჩამქრალი თქვენი ბავშვური ფშვინვა,
მოვალ, დაგხედავთ, გისწორებთ საბნებს,
როგორც ყოველთვის თქვენთან ვარ,
შინ ვარ.

არც მოგშორდებით, ოღონდ მშვიდობა
ჰქონდეს ჩვენს უკვდავ გამზრდელ
სამშობლოს,
ოღონდაც ავმა უამინდობამ,
შვილებო, თქვენს თავს არ მოაშოროს.

საწოლთან მერცხლის ფრთა
გაუშლიათ
მზიას ყელსახვევს და ნანას ბანტებს;
ვისმენ მომავალ დღეების შრიალს,
მათზე ოცნება კვარივით მანთებს.

მილამაზებენ საწერ მაგიდას
მზიას ჩანთა და ნანას ანბანი.
შეუთამაშდათ ბავშვებს ბაგე და
ძილში თუ ცხადად ნახეს ზღაპარი...

— ამ მზის ქვეშ მუდამ კარგად
მეგულეთ,
თვით მზისკენ მიგვყავს თქვენი
გზა-კვალი,
და კარგ ვარსკვლავზე დაბადებულებს,
აგიცხადდებათ ბევრი ზღაპარი.

კარგ დროს მოფრინდით მტრედები
— დები —
მზია და ნანა, ნანა და მზია,
თქვენ რომ იცოდეთ, რა დიდ დღეს
ხვდებით,
თქვენ რომ იცოდეთ, რა დიდი მზეა!...

# ცეროდენა



სასტუმრო „მოსკოვის" ჰოლში ხალხი ირეოდა. კინომუშაკები გაფაციცებით დგამდნენ გამანათებელ ხელსაწყოებს. ფოტოკორესპონდენტები უკვე „ბლიცებით" აშუქებდნენ.

ჩვენ გარს ვუსხედით მაგიდას ჩვენი დელეგატების მოლოდინში. მისთვის ვამბობ „ჩვენი"-მეთქი, რომ ერთ ჩვენთაგანს საუბარი უნდა ჰქონოდა სახელგანთქმულ ციმბირელ სწავლულთან; მეორე უცდიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ორგზის სოციალისტური შრომის გმირს; მესამე თვალს არ აცილებდა კარს ჰიდროსადგურების მშენებელი ინჟინრის მოლოდინში.

ჰოლში აჩქარებული ნაბიჯით შემოვიდა ძალზე მაღალი, საწვიმარწამოსხმული ახალგაზრდა კაცი. მაშინვე ვიცანით. ეს იყო საშა გლებოვი — დედაქალაქის ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელი.

საშა ადმინისტრატორთან მივიდა, რაღაც შეეკითხა და თავისუფლად ამოისუნთქა. თან საათს დახედა.

— საშა! გლებოვ!..

— აა, სალამი კოლეგებს! — მოგვიახლოვდა იგი, — უნდა გაგაფრთხილოთ: მარშალთან საუბარი მექნება მე. რედაქტორი პირადად მოელაპარაკა საქალაქთაშორისო ხაზით. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა. ვიყოთ ერთმანეთთან თავაზიანები. მანამდე კი შეგვიძლია პაპიროსი მოვწიოთ, ვისაუბროთ.

— საშა, მოდი, შენი ისტორია გვიამბე, — მიმართა მას ახალგაზრდობის გაზეთის თანამშრომელმა იურჩენკომ, — გვასიამოვნე.

— რა ისტორია?

პასუხის ნაცვლად იურჩენკომ მოულოდნელად კბილები ლაკრიჭა და ნელა დაიღმუვლა.

## ბორის ლასკინი

გლებოვმა ხელი ჩაიქნია.

— აჰ... ეგ უკვე ეპოსია. ყველამ იცის!

— არა, ყველამ არ იცის, არა! გვიამბე!

შევმჭიდროვდით. საშა გლებოვი სავარძელზე ჩამოჯდა, პაპიროსი გააბოლა და დაიწყო:

— ეს მოხდა, ყმაწვილებო, შვიდ სექტემბერს. მიძახის ლოპატინი, ალექსეი ნიკოლაევიჩი, ინფორმაციის განყოფილების გამგე: — საშა, ხომ არ მივცეთ შაბათის ნომერში ასი სტრიქონი გასართობი ინფორმაცია?.. შესანიშნავი იდეაა-მეთქი, ვპასუხობ. აი, შენ სახლის მისამართი და ესაუბრე ვალენტინა ივანოვნა სმირნოვასო, — მეუბნება. შევეკითხე: ვინ არის-მეთქი ეს ვალენტინა ივანოვნა? ადგილზე შეიტყობო. მაინც? როგორი პრობლემაა-მეთქი? — ვეკითხები. აღზრდის პრობლემაო... გასაგებია, მორალური პრობლემაა-მეთქი. ალექსეი ნიკოლაევიჩი იღიმება: არა, მგონი, მორალური კი არაა იმდენად, რამდენადაც ფიზიკურია... მესმის, სპორტია, ახალგაზრდობის აღზრდა! თითქმის გამოიცანი, — მიპასუხა. აღზრდაა, მაგრამ სპორტი კი არაო... მივდივარ, ალექსეი ნიკოლაევიჩ! მართალია, რაღაცას მიმალავთ, მაგრამ ეს საინტერესოცაა. მასთან მოლაპარაკებული ხართ მიმიღებს. წადი, მიგიღებსო, — მითხრა და წავედი.

ორმოცი წუთის შემდეგ გამოვცხადდი აღნიშნულ მისამართზე. დავრეკე. კარი ახალგაზრდა ქალმა გამიღო.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ! რედაქციიდანა ხართ?

— დიახ!

— მობრძანდით!

შევედი, ბინა პატარაა, ალბათ ოროთახიანი. ავეჯი თანამედროვე. ბევრი წიგნი. ტახტი. სარკიანი კარადა. ყვავილები.

— ვალენტინა ივანოვნა! თქვენთან მოვედი სასაუბროდ, თუმცა რედაქციაში რატომღაც არ მითხრეს, რაზე ვისაუბროთ. თქვენ საქმის კურსში ხართ?

— ვფიქრობ, რომ ვარ. მაგრამ მე მგონია, ჩაის მაგიდასთან აჯობებდა საუბარი. ხომ მართალია? ჩაი გამითავდა. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, რამდენიმე წუთით დაგტოვებთ. მაღაზიაში ჩავალ. გასაღებსაც კი არ წავიღებ თან: დავრეკავ და თქვენ გამიღეთ კარი. კარგი?

მე ვეუბნები: — როგორც გნებავთ, ბატონო, რასაკვირველია...

ქალი წავიდა, ვზივარ და გარშემო ვიხედები. საინტერესოა, რა სპეციალობისაა ეს ქალი? მივდივარ თაროსთან: იქნებ, წიგნების საშუალებით მივხვდე, რას აკეთებს-მეთქი. ვუყურებ, ჩვეულებრივი წიგნებია: პროზა, ლექსები, ბრემის „ზოოლოგია" — ოცდაათამდე ტომი. აჰა, მივხვდი, ყველაფერი ნათელია: ან ზოოლოგიის მასწავლებელია, ან მეცნიერ-მუშაკი...

ვდგავარ ასე და ვფიქრობ. მეორე ოთახის კართან რაღაც დაჟინებით ფხოჭნის და ღნავის: ალბათ კატას უნდა გასეირნება. მივედი. გადავაბრუნე გასაღები. გამოვაღე კარი...

ნახატვარი გ. თოთიბაძე.

ვალერი ბრუმელს რომ დაენახა ჩემი ნახტომი, მიხვდებოდა: იგი ტომასს კი არ უნდა შეჯიბრებოდა, არამედ მე. სამი დღის განმავლობაში ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ვერ მოვიფიქრე, — როგორ აღმოვჩნდი კარადის თავზე.

შესაძლოა დაგაინტერესოთ: რატომ დამჭირდა ეს აკრობატული ნომერი? საკმაოდ საპატიო მიზეზი მქონდა ამისა.

ოთახში შემოვიდა... ლომი, ნადირთა მეფე.

აი, ახლაც, გიყვებით და ტანში ჟრუანტელი მივლის.

შემოდის ლომი. შეჩერდა. შემომხედა. თითქოს იმას-ღა ფიქრობს, როდის ჩამომათრიოს კარადიდან: ახლა, თუ ცოტა მოგვიანებით? დუმს ასე, შემდეგ დგება წინა თათებზე... ვგრძნობ, ძმებო, რომ ერთი წუთის შემდეგ რედაქციაში განთავისუფლდება საშტატო ერთეული.

ლომმა გაიზმორა, ხახა დააღო. თან თვალს არ მაშორებს. ისიც კი მომეჩვენა, რომ თვალი ჩამიკრა. თითქოს ამით მითხრა: ახლავე მოვიცლი შენთვისო!..

ვზივარ კარადის თავზე, კბილს კბილზე ჩაქუჩივით ვურტყამ. ლომი შებრუნდა და წყნარად გავიდა მეორე ოთახში...

ვფიქრობ: ტელეფონით დავრეკო? სად? როგორ? ტელეფონი ტახტთან დგას, ქვემოთ. ლომიც ქვემოთაა. რა ვქნა, ძმებო?!

უეცრად ზარის ხმა გაისმა. დიასახლისი დაბრუნდა.

— მე არ შემიძლია კარი გაგიღოთ, კარადის თავზე ვარ!

— რატომ? რა მოხდა?

ვერ მოვასწარი პასუხის გაცემა, რომ ლომი ორი ნახტომით შემოსასვლელში გაჩნდა და კართან დაიღმუვლა. საზარლად დაიღმუვლა.

— რატომ გამოუშვით ცეროდენა? — შემომძახა ვალენტინა ივანოვნამ. — ნუ გეშინიათ! არაფერია საშიში. ის ხომ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა!..

რასაკვირველია! — გავიფიქრე, — სულ ახალგაზრდაა! მეც სულ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ თუ ჩემამდე მოაღწია, მაშინ მე შუახანსაც ველარ მივატან.

ვალენტინა ივანოვნა ისევ ყვირის:

— სანამ მე აქ გავართობდე, დარეკეთ სახლმმართველობაში: 77-95, უთხარით, სასწრაფოდ გამოგზავნონ ზეინკალი მეცხრე ბინაში.

იცით, ცირკში არის ასეთი ნომერი — „აკრობატები ბადეზე". [illegible] ბადე, გუმბათიდან ხტებიან. შემდეგ ისევ გუმბათზე გაჩნდებიან ხოლმე. სწორედ ეს ნომერი გამომივიდა საშინაო პირობებში: კარადიდან ტახტზე ჩამოვხტი და ტელეფონის აპარატით ხელში ისევ კარადაზე ავხტი... ახლა შემიძლია უგამოცდოდ მოვეწყო სპორტულ სასწავლებელში... ნომერი ავკრიფე და სახლმართველობაში დავრეკე.

— სასწრაფოდ გამოგზავნეთ ზეინკალი, მეცხრე ბინა... აქ დადის ლომი, არც შემოსვლა შეიძლება, არც გასვლა...

ძლივძლივობით გავაგებინე.

დავდე ყურმილი. მერე დავრეკე რედაქციაში. ავკრიფე ნომერი. მესმის ალექსეი ნიკოლაევიჩის ხმა: ალლო! ალლო!.. მე კი პასუხის გაცემა ვეღარ შევძელი. ლომი ისევ დაბრუნდა. მოვიდა კარადასთან. მიყურებს, ტუჩს ილოკავს. მაშინ ყურმილში ჩავძახე:

— ალექსეი ნიკოლაევიჩ! მე კარადის თავზე ვზივარ. ალექსეი ნიკოლაევიჩ.. აქ ლომია, ლომი...

ლომმა ჩემი ხმა რომ გაიგონა, წინა თათებით ტახტს დაეყრდნო. ყურმილი ხელიდან გამივარდა. ზონარზე ჩამოეკიდა, ირხევა. მესმის მოკლე საყვირი, თითქოს კვნესისო: ა, ა, ა!

გარეთ ხმაურია. ზეინკალი მოვიდა. ლომმა კარადაზე გვერდი შეიფხანა. კარადა ქანაობს. ახლა კი ყველაფერი გათავდა-მეთქი, ვფიქრობ. ხვალ შავ არშიაში წაიკითხავენ: „ბრმა შემთხვევამ ჩვენს რიგებს გამოაკლო..."

კარადა ქანაობს, მე ჭერს ვეჭიდები და მთელ ჩემს ცხოვრებას ვიგონებ. რატომღაც გამახსენდა უკანასკნელი რეიდი... მაქებდნენ ოპერატიულობის გამო.

ისევ ვალენტინა ივანოვნას ხმა:

— რატომ სდუმხართ? რა მოგივიდათ?

— ის კარადას არყევს!

— არაფერია, არაფერი. უბრალოდ, თამაშობს. იმღერეთ რამე, ცეროდენას უყვარს მუსიკა. ძალიან აწყნარებს.

ლომს კი არა, მე მინდა დაწყნარება-მეთქი, ვბუტბუტებ.

ერთი სიტყვით, წამოვიწყე სიმღერა. ეს ისეთი სიმღერა გახლდათ, რომ მასთან შედარებით სალოსის ტირილი „ბორის გოდუნოვიდან" სამგზავრო მარშად მოგეჩვენებოდათ. ერთ მელოდიას მივყვები. მოგეხსენებათ, სიტყვების თავი სად მექნებოდა. წარმოიდგინეთ, სასწაული მოხდა. ლომი წაწვა იატაკზე და თვალები დახუჭა. ისევ უეცრად წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა: ნადირთა მეფემ ჩემი ვოკალი ვერ აიტანა.

შემდეგ ყველაფერი უბრალოდ მოხდა: ზეინკალმა თავისი საქმე მოათავა. ვალენტინა ივანოვნა ოთახში შემოვიდა. ლომი მის შესახვედრად გამოეშურა. ქალმა ფაფარზე ხელი გადაუსვა, მის ოთახში დააბინავა და კარი ორჯერ გადაკეტა გასაღებით.

ადვილად ჩამოვხტი კარადიდან; უკვე მივეჩვიე ამ გამოცდილებას. და აი, ჩვენი საუბარი ჩაის მაგიდასთან გაგრძელდა. გაგრძელდა მეტად საინტერესოდ: ვალენტინა ივანოვნა — ზოოპარკის მეცნიერ-მუშაკია. ლომი ჯერ სულ პატარა ყოფილა, როდესაც წამოუყვანია. იგი სახლში გაზრდილა. სხვათა შორის, ამის შესახებ დავწერე ზუსტად ასი სტრიქონი, ალბათ, რომელიმე თქვენგანმა წაიკითხეთ კიდეც.

ორი კვირა და ცეროდენას ზოოპარკში გადაიყვანენ. გამოვნახავ დროს, წავალ მის სანახავად. შევხედავთ ერთმანეთს და მოვიგონებთ ჩვენს დაუვიწყარ შეხვედრას. ამას გარდა, მე მინდა...

რა უნდოდა საშა გლებოვს, ჩვენ ველარ გავიგეთ. სიტყვა აღარ დაამთავრა და წამოდგა. სასტუმროს კარებში მარშალი გამოჩნდა.

საშამ ხელი დაგვიქნია.

— სალამი ამხანაგებს! — გადმოგვძახა მან და გაემართა მარშლის შესახვედრად.

თარგმანი მარიამ აგიაშვილისა.



# ბედი, მემკვიდრეობა თუ ალკოჰოლი?



მოხუცმა ქალმა ქვითინით მიამბო:

— ჩემი ქმარი გამოუსწორებელი ლოთი იყო, რომელმაც სიცოცხლე გამიმწარა. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელ იმედებს ვაჟიშვილზე ვამყარებდი. ვფიქრობდი, გაიზრდება, მხარში ამომიდგება, მეგობრობას გამიწევს — მეთქი... ის კი... — ქალი ისევ აქვითინდა, — ის კი მამასავით გამოუსწორებელი ლოთი გახდა. მითხარით, ექიმო, ყოველივე ეს ჩემი ბედისწერაა, თუ მემკვიდრეობით გადაცემული ლოთობა?..

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული როდი იქნება, თუ ჩვენ ერთად გავერკვევით მოხუცი ქალის ამ შეკითხვაზე.

...ერთხელ ჩემს კაბინეტში შემოვიდა ცოლ-ქმარი. მათ სამი ბავშვი მოიყვანეს. ეს ოჯახი შორეულ ჩრდილოეთში ცხოვრობს. მშობლებმა მოსკოვში სპეციალურად ჩამოიყვანეს ბავშვები, რათა ისინი ექიმებისათვის ეჩვენებინათ. მათ სურდათ, ერთხელ და საბოლოოდ გაეგოთ, თუ რა იყო მათი უბედურების მიზეზი. საქმე იმაში იყო, რომ მათი უფროსი გოგონა გონებანაკლული გაიზარდა და ორი კლასის ზევით სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო, საშუალო ბიჭს ეპილეფსია აწუხებდა, უმცროს გოგონას კი დაბადებიდან დაჰყვა საზარლად გამრუდებული ცხვირის ძგიდე, გახლეჩილი ზედა ტუჩი და მარჯვენა ფეხზე ექვსი თითი.

მშობლები ერთი შეხედვით გონიერებივით გამოიყურებოდნენ, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაშინვე შეამჩნევდა, რომ ეს მცდარი შთაბეჭდილება გახლდათ.

ოჯახის მამას სახეზე მონაცრისფრო-ლილისფერი დაჰკრავდა, ცხვირი ჭარხალივით წითელი ჰქონდა, თვალებთან კი ოდნავ ემჩნეოდა შეშუპებულობა.

როგორც გამოირკვა, ცოლის შერთვამდე იგი ხშირად თვრებოდა, ცოლსაც დროგამოშვებით უყვარებია არყის მცირე დოზით მიღება. ძუძუს წოვების პერიოდში სისტემატურად სვამდა ლუდს, თურმე ერთმა ნაცნობმა დაარწმუნა, რომ ლუდი ხელს უწყობს ქალის რძის მომატებას.

ბავშვების გასინჯვის შემდეგ დაუფარავად ვუთხარი მშობლებს, რომ სპირტიანმა სასმელებმა დამღუპველი გავლენა მოახდინა მათი შვილების ჯანმრთელობაზე. ამის გაგონებაზე ისინი ჯერ გაოცდნენ, მერე კი მამას ღიმილმა გადაურბინა სახეზე და დაბეჯითებით დაიწყო მტკიცება, რომ იგი სრულიად ჯანმრთელია და მის ჩამომავლობას ალკოჰოლი ვერაფერს დააკლებს, რადგან არაყს მუტად „მცირე დოზით" სვამს ხოლმე...

ალკოჰოლის მცირე დოზებით მიღების უვნებლობის საწინააღმდეგოდ მედიცინას მრავალი მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტი მოეპოვება.

ცნობილმა გერმანელმა ფსიქიატრმა ე. კრეპელინმა მრავალრიცხოვანი ცდები ჩაატარა იმის გასარკვევად, თუ ალკოჰოლი რა გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე.

როგორც გამოირკვა, სპირტიანი სასმელების მეტად მცირე ოდენობით მიღებაც კი მნიშვნელოვნად არღვევს მსროლელის დამიზნების სიზუსტეს, ასოთამწყობის მიერ შრიფტის აწყობის სისწორესა და სისწრაფეს, ასუსტებს მოსწავლეთა ყურადღებას და მეხსიერებას.

საბჭოთა მეცნიერებმა შეისწავლეს ალკოჰოლის მოქმედება ორგანიზმზე და დაამტკიცეს, რომ მისი მცირე დოზით მიღება საგრძნობლად არღვევს თავის ტვინის ქერქის უმაღლესი ცენტრის მოქმედებას: ორგანიზმში შეღწეული ალკოჰოლი 15 წუთის შემდეგ იწყებს მოქმედებას. იგი მომშხამველ ზემოქმედებას ავრცელებს არა მარტო ნერვულ სისტემასა და თავის ტვინზე, არამედ ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილზეც.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა სეჩენოვმა ცდების საფუძველზე დაამტკიცა, რომ ალკოჰოლი დიდ ზიანს აყენებს სისხლის წარმოქმნას, აქვეითებს ჟანგბადის საჭირო რაოდენობას სისხლში.

თუ როგორ ანადგურებს ალკოჰოლი ადამიანის ჩანასახის სასიცოცხლო ფუძეს, ამის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტებით წერდა ცნობილი ბულგარელი მეცნიერი გ. ეფრემოვი. მან მოიყვანა შემაძრწუნებელი ფაქტები მკვდრადშობის, ფიზიკურ და ფსიქიკურ სიმახინჯეთა შემთხვევების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სპირტიან სასმელებს მიჩვეულ ოჯახებში.

ამრიგად, ალკოჰოლი მძიმე ტვირთად აწევს მემკვიდრეობას და დიდ ზიანს აყენებს ლოთების ჩამომავლობას. ფიზიკური სიმახინჯე, სუსტი ჯანმრთელობა, ნერვულ-ფსიქიკური დაავადებანი, —აი რით ემუქრება ალკოჰოლიზმი ბავშვებს.

მაგრამ ალკოჰოლისადმი ლტოლვა მემკვიდრეობით როდი გადაეცემა ადამიანს. ბავშვები სპირტიან სასმელებს იმიტომ კი არ ეტანებიან, რომ მათ მემკვიდრეობით დაჰყვათ ასეთი ჩვევა. ალკოჰოლისადმი მიდრეკილება მშობლების წაბაძვით არის გამოწვეული. ბავშვები ეჩვევიან მაგარ სასმელებს იმიტომ, რომ ლოთობა მტკიცედ დამკვიდრდა მათ ოჯახში, რომ ყოველ ზეიმს და დღესასწაულს მუდამ ახლავს ქეიფი და უზომო თრობა.

მე ვიცნობ ოჯახს, სადაც დაიბადა ორი ტყუპი ბიჭუნა. ერთ-ერთი მათგანი ბავშვთა სახლში იზრდებოდა და მისგან საუკეთესო მოქალაქე დადგა, მეორე ძმა კი, რომელიც უფროსების ლოთობის მოწმე იყო, თვითონაც დაადგა ლოთობის გზას.

ასევე აეწყო ცხოვრება იმ მოხუცი ქალის ოჯახზეც, ამ წერილის დასაწყისში რომ მოვიხსენიეთ.

ბედისწერა და მემკვიდრეობა აქ არაფერ შუაშია, მოხუცის შვილზე დამღუპველი გავლენა იქონია წრემ, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება.

ძველ საბერძნეთში კარგად ჰქონდათ შემჩნეული ალკოჰოლის მავნე გავლენა. ქორწინების დროს ახლადშეუღლებულებს სასტიკად უკრძალავდნენ ღვინის სმას.

ურიგო არ იქნება ეს წესი ახლაც მტკიცედ დავიცვათ.

კარგად უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გამოუსწორებელი დანაშაულია ბავშვებისათვის მაგარი სასმელების მიძალება.

საბჭოთა ადამიანები უნდა აღიზარდონ ფიზიკურად და სულიერად ყოველმხრივ ჯანმრთელები. ლოთობა წარსული დროების მავნე გადმონაშთია, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია ჩვენს საზოგადოებაში. დაუნდობლად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა, რაც შეიძლება დროზე აღვკვეთოთ ალკოჰოლისადმი მავნე მიდრეკილება.

ლ. ბოგდანოვიჩი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

(ჟურნალი „ზდოროვიე").


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი ყოველთვის წარმტაცი და მომხიბვლელია. მაგრამ სულ სხვაა იგი ზამთარში.

ირგვლივ თოვლია, თეთრი, ქათქათა თოვლი, მაღლა კი მოკაშკაშე მზე და ლურჯი ცა.

ამ ულამაზეს კუთხეში თითქოს ერთმანეთს შერწყმია სამხრეთული მზის მცხუნვარება და ზამთრის აუწერელი სილამაზე. ალბათ მაღალი მთის კამკამა ჰაერი და თოვლით გადათეთრებული ბუნება აიძულებს აქ ზღაპრულ ელვარებას მზესა და ზეცას.

ბაკურიანში გათენებიდანვე ეფინებიან თეთრ ფერდობებს ნაირფერად აჭრელებულ სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი ჭაბუკები და ქალიშვილები.

აქ ატარებენ ისინი სიჯანსაღითა და სიხარულით აღსავსე დღეებს, აქ დგამენ პირველ სპორტულ ნაბიჯებს, იღებენ პირველ სპორტულ წრთობას, აქ ვაჟკაცდებიან და გადიან დიდ სპორტულ ასპარეზზე.

ბაკურიანი ჯანმრთელობის უდიდესი კერაა. აქ თითქმის მთელი წლის განმავლობაში ისვენებს ათიათასობით ადამიანი. ადამიანთა სხეულის გაკაჟებას ემსახურება სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბანაკები.

ათასობით ბავშვი ატარებს ზაფხულს ბაკურიანის სურნელოვან ნაძვნარში.

ზამთარში კი ბაკურიანი არა მარტო უბრალო საკურორტო ადგილია, არამედ დიდი სპორტული ცენტრიც. აქ გადიან შეკრებასა და საწვრთნელ ვარჯიშებს რესპუბლიკის უძლიერესი მოთხილამურეები, ტრამპლინიდან მხტომლები, ჰოკეისტები, მოციგურეები. მარტო მიმდინარე წელს ბაკურიანში ჩატარდა ჩვენი რესპუბლიკის „თეთრი სპარტაკიადა", საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებები სამთო-სათხილამურო სპორტში.

ხელსაყრელი რელიეფი, შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, მსოფლიოში არნახული ზამთრის ამინდები და საუცხოო ბუნებრივი კლიმატი საშუალებას იძლევა, რომ ბაკურიანი გახდეს პირველი ქალაქი მსოფლიოს სამთო-სათხილამურო სპორტულ ქალაქთა შორის.

წლითიწლობით ფერს იცვლის ბაკურიანი. შენდება ახალი შენობები, კულტურული დაწესებულებები. წელს




**გ. თამარაშვილი**

მწყობრში ჩადგა კულტურის ახალი სახლი, კეთილმოწყობილი კაფე, ჰოკეის მოედანი, საცხოვრებელი სახლები. საფუძვლიანად შეკეთდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ბაზები.

ჩასულთა ყურადღებას იპყრობს ბაკურიანის ჩრდილოაღმოსავლეთ ფერდობზე დაწყებული მშენებლობა, სადაც უკვე წამოიჭიმა ლამაზი შენობების კონტურები.

აქ, 9 ჰექტარ ფართობზე, უზარმაზარ ნაძვებს შორის, შენდება კომკავშირული ქალაქი. ამ ლამაზი სპორტული ქალაქის მშენებლობა წარმოებს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის კომკავშირული ყულაბის სახსრებით. გათვალისწინებულია აშენდეს ორი საძინებელი კორპუსი,







ხოლო ოჯახებისათვის—10კოტეჯი, თითო სამ-სამ ოთახიანი, სასადილო, კლუბი, მასობრივი გართობის დარბაზი. „ქალაქის“ ტერიტორიაზე იქნება კალათბურთის, ფრენბურთისა და ტანვარჯიშის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, საყოფაცხოვრებო კომბინატი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობა ისეთი ტემპით როდი მიმდინარეობს, ახალგაზრდულ ენერგიას და შემართებას რომ შეფერის.

საერთოდ, ბაკურიანში არ არის ისეთი პირობები, რომლებიც უპასუხებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს. ბაკურიანში არ არის სასტუმრო. დამსვენებლებს, ძირითადად, კერძო ბინების დაქირავება უხდებათ. არ არის აბანო. ამ მხრივ განსაკუთრებით უჭირთ სპორტსმენებს, რომლებსაც მომქანცველი ვარჯიშის შემდეგ არა აქვთ შხაპის მიღების საშუალება.

ბაკურიანის ახალი კლუბიც კი ვერ აკმაყოფილებს კინოფილმების მნახველთა სურვილს, ხოლო კინოს გარდა ბაკურიანში, საღამოს, არავითარი გასართობი არ არსებობს.

ყველა დამსვენებელს სურს ციგურებით სრიალი, ბაკურიანში კი ჰოკეის ერთი მოედანია, სადაც საწვრთნელ ვარჯიშებს გადიან როგორც ჰოკეისტები, ასევე მოციგურეები. მოედანი ისეა გადატვირთული, რომ სპორტსმენებს ვარჯიში ღამის პირველ საათამდე უხდებათ. დამსვენებლებისათვის კი ოცნებაც ზედმეტია იციგურაონ ამ მოედანზე.

ბაკურიანში უნდა იყოს რამდენიმე საციგურაო მოედანი, სადაც დამსვენებლებსაც მიეცემათ საშუალება გამოსცადონ თავიანთი ძალები ყინულზე და საღამოობით მოაწყონ მასობრივი ცეკვები.

ბაკურიანელმა ბავშვებმა ერთი წელია, რაც პირველად ნახეს ჰოკეი, მათ ძალზე მოეწონათ სპორტის ეს ტემპერამენტიანი და წარმტაცი სახეობა. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ჰოკეისტების ყოველ მოძრაობას (თუმცა მოედანს მაყურებლებისათვის ტრიბუნები არა აქვს) და შემდეგ ცდილობენ გაიმეორონ იგი. მაგრამ იმის გამო, რომ მათ არა აქვთ მოედანი, ისინი ყოველდღე ჩადიან გაყინულ მდინარეზე და იქ თამაშობენ სპეციალური ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ციგურების გარეშე. სამწუხაროდ, ბაკურიანის სპორტული ინვენტარის მაღაზიები გამოცარიელებულია. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ვინ იცის, იქნებ ამ პატარა ბავშვებშიც ბევრია ისეთი, რომლებიც კობა წაქაძესავით დიდებასა და სახელს მოუტანენ ბაკურიანს.

ბევრი თბილისელი ბაკურიანში სულ ორი სამი დღით მიდის, მაშინ, როცა მარტო გზაზე ორი დღე ეკარგებათ. რამდენ ძვირფას საათს მოიგებდნენ ისინი, თბილისიდან რომ ვერტმფრენებით შეეძლოთ გადაფრენა.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბაკურიანი იქცეს ათეულ ათასობით ადამიანთა დასვენებისა და ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის სამთო-სათხილამურო აღზრდა-დავაჟკაცების კერად, მომავალ დიდ სპორტულ შეჯიბრებათა საასპარეზო-ქალაქად.

ვინც ერთხელ მაინც დაშვებულა თხილამურებით კოხტაგორის ფერდობებზე, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ამომავალ მზეს ცხრა-წყაროს უღელტეხილზე, იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ამ ღალოცვილი კუთხის მშვენიერებას, განუმეორებელ სიხალისეს, აღტაცებასა და სიყვარულს, რომელიც ბაკურიანის დათოვლილ ფერდობებზე იბადება.



ფოტო გ. თიკანაძისა





ორდე დგებუაძე

...ამ საროს ტანის ოქროსთმება ქალმა პირველ ღამეს მხოლოდ ორიოდე სიტყვით შემიცოდა, მომიალერსა, ვინაობა მკითხა. არაფერი დამიმალავს, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ისიც ვუთხარი, რომ ამ ქვეყნად საიმედო არავინ გამაჩნდა. ლურჯთვალებას თითქოს ესიამოვნა ჩემი გაპირვება. მითხრა:—ბედი გქონია, რომ შემხვდიო, და ვილაც ხანშიშესული დედაკაცი იხმო. ამ ყმაწვილს მოუარე, არაფერი მოაკლოო,—უბრძანა.

დარბაისელი ქალი, რომელსაც ევდოკია ივანოვნას ეძახდნენ, სააბაზანოში შემიძღვა, ტანი დამიბანეო. მითხრა. მერე, ახალი საცვლები მომ(...) და მდიდრულად მორთულ ოთახში შემიძღვა, ლოგინი გამიშალა. მოთენთილს, არ შემეძლო მეფიქრა რამეზე. დავწექი. მკვდარივით ჩამეძინა.

...ვარვარა დავიდოვნასთვის მთელი კვირა თვალი არ მომიკრავს, მაგრამ ბედს არ ვემდუროდი. ჩემი მფარველი ანგელოზი თავისი ვექილით, ნიკოლაი პეტროვიჩით სოფელ ტარანოვკაში გაემგზავრაო, გადმომცეს. თურმე ამ სოფელში ქვრივი ვარვარა ტანეევა, ხანშიშესულ განსვენებულ ქმრის პეტრე მოროზოვის ხუთასიოდე დესეტინა სახნავ-სათეს მიწას იბარებდა. ამ მამულს, გარდაცვლილი მოროზოვის ძმა ედავებოდა რძალსო, მითხრა ევდოკია ივანოვნამ.

სანამ ჩემი ქალბატონი ჩამობრძანდებოდა, მე ამ მდიდარი ქვრივის ყოფა-ცხოვრებას ვეცნობოდი.

სამოც წელს გადაცილებულ უშვილო პეტრე მოროზოვს ბევრი ავლადიდება დარჩენოდა. გარდა დიდი ადგილ-მამულისა, დნეპრის ნაპირას ზეთსახდელი და სახერხი ქარხნები ჰქონია, დონზე — წისქვილები, კიევში—შოკოლადის ფაბრიკა, სავაჭრო სახლი.

მდიდარი ქმრის ხელში განებივრებულ ახალგაზრდა ლამაზ ქალს გამჭრიახობა გამოუჩენია, დროზე მიმხვდარა, რომ ქარხნებს, ფაბრიკებს, წისქვილებსა და სავაჭრო სახლს თადარიგს ვერ მისცემდა და ყველაფერი ესენი ფულად უქცევია, ხოლო ადგილ-მამულისა და სხვა ქონების გამგებლად თავის დედის ძმა, ხანშიშესული, უცოლშვილო ვექილი ნიკოლაი პეტროვიჩი დაუნიშნავს და თავის ოჯახში დაუბინავებია.

ჭკვიან ბიძას საქმეები ჩინებულად მიჰყავსო, ამბობდნენ ოჯახში.

კმაყოფილი ვარვარა თავს ლაღად გრძნობდა თურმე და დიდ დროს პირად სიამოვნებაზე ზრუნვას ანდომებდა.

ექვსი სახლეულიდან, სამი, ვარვარა დავიდოვნას პირადი ფარეში არისო.

ფარდულში ორი ეტლი და ორი მარხილი იდგა.

ერთ ეტლში და ერთ მარხილში ვარვარას გარდა სხვა არავინ ჯდებაო, მითხრა მეჯინიბემ.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „დროშა" 1961 წ. №№ 4, 6, 7, 8, 9, 10, 12, 1962 წ. № 2).

რამდენი ძვირფასი სამკაული!

შენობის რვაოთახიანი ზედა სართული, რომელიც მხოლოდ ვარვარა დავიდოვნას და მის საყვარელ დოგს ეჭირა, ზღაპრულად იყო მორთული. სანამ ამ სახლის დარბაზებსა და ოთახებს ვნახავდი, არ მეგონა, რომ ადამიანის ხელს შეეძლო ასეთი თვალწარმტაცი სანახაობის შექმნა. ზოგ დარბაზში გაზაფხულის სითბო და სურნელება იდგა. ზოგი შემოდგომის სავსე მთვარით განათებულ ბაღის ყურეს აგონებდა ადამიანს. ზოგის კედლები და ჭერი ისე იყო მოსირმული და მობროლილი, რომ აღტაცებისაგან ერთ ხანს სულს ძლივს ვითქვამდი. ვერცხლის ჩარჩოები და სახელურები ამძიმებდნენ ზედა სართულის ოთახების ისედაც მძიმე კარებს.

ქალბატონის დასაძინებელ ოთახში ქურდულად შევიხედე. წყვილი საწოლი მოზარნიშებული ოქროს ფურცლებით იყო მოჭედილი. ვერცხლით მოჩუქურთმებულ ფანჯრებს ძვირფასი ფარდები ფარავდა.

...ქალბატონის ჩამოსვლას მოუთმენლად ველოდი რატომღაც. რაღაც ახლის მოლოდინი არ მასვენებდა. დამდევდა ფიქრი იმაზე, თუ რამ შთააგონა ვარვარა დავიდოვნა ვილაც უცხო შინ მოეყვანე, ესოდენი ზრუნვა გამოეჩინა. თუ კეთილმა გულმა შემიბრალა, განა ცოტანი არიან ამ ქვეყანაზე ჩემზე უფრო შესაბრალისნი? თუ იმ საღამოს გული უჩვეულოდ ჰქონდა გამთბარი, რაღაცით ძალზე კმაყოფილი იყო და სიამით აღგზნებულს თვალში ჩავუვარდი, ვინ იცის მგზავრობიდან დაბრუნებული რას მეტყვის, ვაი თუ არც კი შემხედოს, მოჯამაგირედ დამაგდოს. ათასი ფიქრით გონებადამძიმებულს თვალი ჭიშკრისაკენ გამირბოდა.

ერთ დღეს, როგორც იყო, ოფლში გაღვარულმა ბედაურებმა ქალბატონის ეტლი ეზოში შემოაგდეს.

იმ საღამოსვე მიხმო ქალბატონმა.

ახალრაბანავებს ხელში ანთებული პაპიროსი ეჭირა. აბრეშუმის განიერ ხალათში გახვეული, სადარბაზოში ტახტზე წამოწოლილიყო და კმაყოფილებით იღიმებოდა.

დამინახა და წამოდგა.

მე ახლა ეს ქალი უფრო ლამაზი და მიმზიდველი მეჩვენა, ვიდრე პირველ საღამოს. ლერწამის ტანითა და ლურჯი თვალებით მართლაც რომ ლამაზი იყო იგი. ოქროს ბურბუშელასავით მბზინავი გრუზა თმა თავზე უხვად ეყარა, მიბნედილ მრგვალ სახეს ვარდისფერი დაჰკრავდა, ლალის ბაგედან ბროლის კბილები გულსაამოდ იმზირებოდნენ.

ბამბასავით ფაფუკი ხელი გამომიწოდა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა. მე კიდევ მინდა შენი თავგადასავალი მოვისმინოო, მითხრა და ისევ წამოწვა ტახტზე.

ალბათ მცდის ეს ქალი და ამიტომ კითხულობს ხელმეორედ ჩემს ვინაობას-მეთქი, ვიფიქრე.

მე ისევ დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი. აბა, რა უნდა შემშლოდა, როცა მართალს ვლაპარაკობდი.

ქალს დიდხანს ხმა არ ამოუღია. მერე ტუმბოსკენ გადაიხარა, ოქროს სათუთუნედან პაპიროსი ამოიღო. არ დავაყოვნე, ანთებული ასანთი გავუწოდე. ეჰ, როგორი ადამიანები იბადებიან! შენი ბაბუა გულქვა ყოფილაო,—ჩაილაპარაკა და წამოჯდა, ამხედ-დამხედა, მერე ჭერსაბჯენილი ოქროსვარაყებიანი სარკისაკენ გააპარა თვალი, და განაგრძო,—მაგრამ არა უშავს, შენ ისეთი ხარ, რომ არაფერი გაგიჭირდება,—მითხრა შეცოდების კილოთი და ადგა, მკლავზე ხელი წამავლო, შემაბრუნა.

ვარვარა დავიდოვნას თვალებს ჩავხედე სარკეში, ვერ გავუძელი, თავი დავხარე. ქალმა გაიზმორა და საამო ხმით მითხრა:

— აბა, ერთი კარგად დააკვირდი იმ ჭაბუკს,—ხელი სარკისაკენ გაიშვირა, —მე ის რატომღაც ძალზე ლამაზი, ეშხიანი და კეთილი მგონია, ნახე, ნახე და შენი აზრი მითხარი,—ჩაიცინა, სპილოს ძვლის განიერ თეჯირის უკან გაუჩინარდა.

გაოგნებული ვიდექი ერთ ხანს. ვერ გავიგე, თუ რა უნდოდა ამით ეთქვა კეთილ ქალბატონს. მერე, შეგონებულივით მართლა დავაკვირდი ჩემს თავს. ახლაც, დღევანდელ დღესავით მახსოვს, როგორ ვერ მოვაშორე თვალი ჭაბუკ იგორს, რომელიც სარკიდან დამფრთხალი შველივით იმზირებოდა. დღევანდელ დღესავით მეთქი-ვთქვი, მაგრამ კაცმა მართალი რომ თქვას, დარწმუნებით ვერ გეტყვით, როგორ გამოვიყურები დღეს, მაქვს თუ არა სახეზე ნაოჭები, რა ფერისაა ახლა ჩემი თვალები, შავი თუ თაფლისფერი. დიახ, ვერ გეტყვით, მაგრამ განა იმიტომ, რომ მეხსიერება მღალატობს. არა, აქ მეხსიერება არაფერ შუაშია. მე ათასმა ფიქრმა, დღედალამ საკუთარ უშიშროებაზე ზრუნვამ ასეთი წვრილმანები დიდი ხანია გადამავიწყა.

ახლა?

ახლა გულდამშვიდებულს შემიძლია გავიხსენო ყველაფერი ის, რაც ჩემმა მგლურმა ცხოვრებამ გადამავიწყა. ახლა? საშიშროებამ განვლო და კარგად ვიცი, რაც მჭირს, და ისიც, ამაზე უარესი რომ არ მომივა. ახლა არც ახალი ფათერაკი მაქვს სახიფათო და ჩემმა მოუსვენარმა გულმა, სურს თუ არა, უნდა იყუჩოს, უნდა უსმინოს ჩემს ათასჯერ წყეული წარსულის ამბავს. ამ ამბავს იდუმალი ხმა, კარგი მოკარნახესავით, არ მასვენებს, მეჩურჩულება.

ღმერთო ჩემო! შევტოპე... მინდოდა მეთქვა თუ როგორი ვიყავი მაშინ, როცა დაბადებიდან სულ რაღაც თექვსმეტ-ჩვიდმეტ წელს ვითვლიდი, როცა ქალბატონ მოროზოვის სადარბაზოში სარკის წინ ვიდექი. მაშინ ტანმაღალა იგორს მხრები ლაზათიანად ჰქონდა გაშლილი. შავგვრემან სახეს კუპრივით შავი თვალები ნათელსა და მიმზიდველს ხდიდა. წინწამოწეულ მაღალ შუბლს ტირიფის ტოტებივით ჩამოშლილი, ღამესავით შავი თმები უხვად ეყარა, ოდნავ გამხდარ სახეს ვაჟკაცურ იერს მატებდა ახალაშლილი, ყორნის ფრთასავით შავი ულვაში. სალუქად ჩამოქნილ ტანზე დაკუნთული გულ-მკერდი ხალათში არ ეტეოდა.

თვალები?

თვალები მართლაც რომ საოცარი ჰქონდა, ლამაზი, მაგრამ მომნუსხავი, ისეთი, როგორიც ზღაპრულ გრძნეულებს აქვთო, რომ იტყვიან.

იგორის მიმზიდველმა თვალტანადობამ დამაბა, სანამ ფეხის ხმა არ მომესმა, სარკეს ზურგი ვერ შევაქციე.

იმ ღამეს ქალბატონისთვის თვალი არ მომიკრავს. ერთმა ფარეშთაგანმა მითხრა შეუძლოდ გახდაო.

მთელმა კვირამ გაიარა, მაგრამ ჩემი პატრონი არ გამოჩენილა. ერთ დღეს მოხუცმა გამგებელმა მიხმო და მითხრა, რომ ჩემზე ზრუნვა მას ჰქონდა მინდობილი. ამ კაცს გვერდით ვილაც მხრებამდე თმებჩამოშლილი ცალფეხა მამაკაცი ეჯდა. ეს შენი მასწავლებელიაო, მითხრა მან და დასძინა: ქალბატონმა შემოგითვალა, თუ იყოჩაღებ და კარგად ისწავლი, ზრუნვას არ მოგაკლებო.

...დიდი ხალისითა და მონდომებით შევუდექი სწავლას. მასწავლებელი ჩემი ნიჭითა და მუყაითობით განცვიფრებული იყო. სამი წლის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე და შევითვისე. ამ ხნის განმავლობაში ჩემი მფარველი არც კი გამომელაპარაკებია. შემთხვევით შეხვედრილს თავს თუ დამიკრავდა და მოწყალე ღიმილს თუ გადმომიგდებდა. მასწავლებელს კი ხშირად იბარებდა თურმე და ჩემს ამბავს დაწვრილებით ჰკითხავდა.

ჩემი მასწავლებელი თავისი საქმის ერთგული კაცი იყო. დღე-ღამეს ჩემთან ატარებდა, მაგრამ დრო არ მყოფნისო, ამბობდა. მე ის მშობლიურ ენას, მათემატიკურ საგნებს, ისტორიას, გეოგრაფიასა და ფრანგულ ენას მასწავლიდა. და კიდევ ერთი-ორი საათი სხვადასხვა თემებზე მემუსაიფებოდა, მაცნობდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, მარკვევდა პოლიტიკაში (ამ საკითხში ის ობიექტური იყო), არ ივიწყებდა ბუნებისმეტყველებას. ერთი სიტყვით, ძალღონეს არ იშურებდა, რომ წარმოდგენა მაინც მქონოდა ყველაფერ იმაზე, რასაც ის ცხოვრებაში საჭიროდ თვლიდა.

ე. გოგიაშვილი

გასულ თვეს დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში თბილოდა. სახელმწიფოთა ურთიერთობაშიც თითქოს მომძლავრდა თბილი განწყობილება. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის 10 თებერვლის მიმართვამ პრეზიდენტ კენედისა, პრემიერ-მინისტრ მაკმილანისა და იმ სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან თვრამეტი ქვეყნის კომიტეტში განიარაღების საკითხზე. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის წერილში იმედი გამოთქვა, რომ კომიტეტი აიღებს მძლავრ და სწორ სტარტს, რასაც თავის მხრივ, სწორ გეზს მისცემდა სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა წინასწარი შეხვედრა. ეს შეხვედრა, როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, სასურველია მოხდეს 14 მარტს ჟენევაში, სადაც უმაღლეს დონეზე განიხილება საყოველთაო განიარაღებისა, მშვიდობის განმტკიცებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მიმართვას თვრამეტის კომიტეტის წევრებისადმი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირე ქვეყნების მმართველი წრეები, როგორც ჩანს, დიდად როდი იზიარებენ ამ აღტაცებას. მათში ეჭვს იწვევს თვით თვრამეტის კომიტეტის შემადგენლობა, სადაც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" აზრით, უკვე გამორკვეულია, თუ ვის მხარეს დაიჭერს რვა ნეიტრალური სახელმწიფო: ბრაზილია, ბირმა, ინდონეზია, ეთიოპია, ინდოეთი, მექსიკა, შვეცია და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. „ჩვენ არ ვიცით, — უნდილად დასძენს თავის მხრივ გაზეთი „ნიუსუიკი", — რა ღონეს მიმართავს კიდევ რუსეთი. მაგრამ ამ თათბირზე მას მტკიცე მომხრეები ეყოლება".

ასეთი შეშფოთება, რბილად რომ ითქვას, გაუგებარია. თუ შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც მისი პასუხიდან ჩანს, ნამდვილად მომხრეა საყოველთაო განიარაღებისა, მაშინ რატომღა უნდა იწვევდეს ეჭვსა და შიშს სახელმწიფოთა მეთაურების უმაღლეს დონეზე შეხვედრა და თანამედროვეობის ამ უმტკივნეულოესი საკითხის გადაჭრის რეალური პერსპექტივა?

ერთი კი ნათელია: ხალხები იმედით მოელიან თვრამეტის კომიტეტის მუშაობას იმ რედაქციით, როგორც ეს ჩამოაყალიბა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მიმართვაში.

გასული თვის ერთ-ერთ საგულისხმო მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პუნტა-დელ-ესტას უბადალებული კონფერენცია, რომელმაც ერთხელ კიდევ დაანახვა მსოფლიოს კუბის რევოლუციისადმი ამერიკული იმპერიალიზმის შეუწყნარებელი, მტრული დამოკიდებულება და ამ რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების ისტორიული გარდუვალობა. მთელი მსოფლიო აღაშფოთა შეერთებული შტატების ამ უხეშმა აქციამ. კონფერენციაში მონაწილე ლათინური ამერიკის ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა ბრაზილია, მექსიკა და სხვა, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 140 მილიონს აღწევს, უარი თქვეს კუბის რესპუბლიკის საქმეებში ჩარევაზე. რაოდენი ძალდატანება, რამდენი დაპირება და ხრიკები დასჭირდათ შეერთებულ შტატებს, რომ აეძულებინათ დანარჩენი თოთხმეტი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ხელი მოეწერათ ეგრეთწოდებულ პუნტა-დელ-ესტას დეკლარაციაზე, რომელიც ამასთან ამ კონფერენციის მარცხით დამთავრების უტყუარ დოკუმენტსაც წარმოადგენს — შეერთებულმა შტატებმა ვერ შესძლეს კუბის წინააღმდეგ ვერც ეკონომიური და ვერც, მით უმეტეს, სამხედრო სანქციის მიღება.

პუნტა-დელ-ესტას კონფერენციას ლათინური ამერიკის ხალხმა მრისხანე გამოსვლებით უპასუხა. 4 თებერვალს ჰავანაში ხოსე მარტის მოედანზე მილიონნახევარმა კუბელმა ერთხმად მიიღო ჰავანას მეორე დეკლარაცია, რომელიც გამოხატავს არა მარტო კუბელი ხალხის, არამედ მთელი ლათინური ამერიკის ხალხთა სანუკვარ ოცნებას, მისწრაფებებსა და მიზნებს.—კუბა სოციალისტური ქვეყანაა და დარჩება სოციალისტური! — ხაზგასმითაა აღნიშნული დეკლარაციაში. ამ შესანიშნავმა ქარტიამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ არავითარ ძალას არ ძალუძს იმ დიდი ძვრების შეჩერება, რომლებსაც ახლა ადგილი აქვს სამხრეთ ამერიკის ვრცელ კონტინენტზე. კუბის რესპუბლიკა, სურს თუ არა ეს შეერთებული შტატების შუბლმაგარ პოლიტიკოსებს, არსებობს, ვითარდება და თავისი ძლევამოსილი სვლით სოციალიზმის გზაზე, მაგალითს აძლევს ლათინური ამერიკის თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს.

ყოველივე ეს საერთაშორისო რეაქციის კიდევ უფრო მეტ გააფთრებას იწვევს. მსოფლიო იმპერიალიზმი ლამობს ლახვარი ჩასცეს ყოველივე პროგრესულსა და მოწინავეს, სადაც არ უნდა იჩინოს მან თავი. სულ უფრო მწვავდება მდგომარეობა თვით კაპიტალისტური ქვეყნების შიგნითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია გასულ თვეს საფრანგეთში შექმნილი ვითარება. პრეზიდენტ დე გოლის პასიური საშინაო პოლიტიკით გათავხედებულმა „ულტრამ" მთლად აიწყვიტა თავი. საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაცია „ოასი", მთავრობის წაყრუებით, დაუსჯელად თარეშობს მთელს საფრანგეთსა და ალჟირში, სადაც ნეოფაშისტი ნაძირალების შემწეობით ყოველდღიურად მრავალი აფეთქება და მკვლელობა ხდება. არც ერთი პატიოსანი ადამიანი, არც ერთი პატრიოტი არ გრძნობს დღეს საფრანგეთში თავს უშიშრად.

პოლიცია, ნაცვლად იმისა, რომ ბოროტმოქმედთ ებრძოლოს, რეპრესიებს მიმართავს იმათ მიმართ, ვინც პროტესტს გამოთქვამს კაცისმკვლელთა ამ თავაშვებულებაზე და თვით ცდილობს „ოასელი" ავაზაკების ალაგმვას. 8 თებერვალი საფრანგეთის ისტორიაში შევა, როგორც სისხლიანი სამშაბათი, როგორც დე გოლის ხელისუფლების მიერ ხალხის ინტერესების დახვრეტის დღე. ამ დღეს „ულტრელთა" თავგასულობის გამო პარიზის ქუჩებში საპროტესტოდ გამოსულ ასიათასობით მშრომელთა დემონსტრაციას ტყვია დაუშინეს პოლიციისა და ჯარის ნაწილებმა. დაიჭრა მრავალი დემონსტრანტი, რვა კაცი კი მოკლეს.

დემონსტრანტთა დახვრეტამ შეაძრწუნა ფრანგი ხალხი და მისი მრისხანე პროტესტი გამოიწვია. 13 თებერვალს დაღუპულთა დაკრძალვის საღამოს, მთელი პარიზი გამოვიდა ჩირაღდნებით ხელში. გლოვის ნიშნად ელსადგურებმა შეწყვიტეს ქალაქისათვის დენის მიწოდება, შეჩერდა გაზეთების ბეჭდვა, შეწყდა მატარებლებისა და საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა.

ფრანგი ხალხი გრძნობს იმ სერიოზულ საფრთხეს, რომელიც „ოასის" სახით მოევლინა არა მარტო მათ ქვეყანას, არამედ ევროპის ისეთ ქვეყნებსაც, როგორიცაა ბელგია, იტალია, ესპანეთი და სხვ. ეს ორგანიზაცია აღნიშნულ ქვეყნებში კავშირს ამყარებს მსგავს ნეოფაშისტურ ორგანიზაციებთან, კერძოდ, ესპანელ ფალანგისტებთან, „ევროპის სოციალურ მოძრაობასთან" და ა. შ.

საგულისხმოა, რომ „ევროპის სოციალურ მოძრაობას" სათავეში უდგას ჰიტლერის ერთ-ერთი დაახლოებული პირი ოტო სკორცენი, რომელმაც თავის დროზე, ჰიტლერის დავალებით სიცილიიდან მოიტაცა იტალიის ახალი მთავრობის მიერ დაპატიმრებული მუსოლინი. სკორცენიმ, რომელიც გესტაპოს დაზვერვის სამმართველოს უფროსი იყო, შესძლო საზღვარგარეთ მყოფ აგენტთა კადრების შენარჩუნება, რომელთა მეოხებით ახლა დიდ დახმარებას უწევს „ოასის" მესვეურებს.

მაგრამ „ფაშიზმი არ გავა!" თავისუფლებისმოყვარე ფრანგი და ალჟირელი ხალხი ურყევია თავის გადაწყვეტილებაში: ბოლომდე დაიცვან თავიანთი ქვეყნები ხელმეორედ მოვლენილი მიხაკისფერი ჭირისაგან.





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა
40

და მე, არამცთუ შევურიგდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კარჩაკეტილ ცხოვრებას, არამედ ყველაფერ ამას ისე შევეჩვიე და ამ კაცის ზრუნვამ ისე დამაშოშმინა, რომ თავი ბედნიერად მივიჩნიე. როგორც ქალბატონისა და ჩემი მასწავლებლის, ასევე მთელი ჯალაბობის ჩემდამი დიდმა ყურადღებამ, ბაბუაჩემის მიერ დაბინდულ გულს თანდათან ნათელი მოჰფინა. ვრწმუნდებოდი, რომ ამ ქვეყნად ბოროტებს კეთილები ჭარბობდნენ, რომ ამ ქვეყანაში შეიძლებოდა ადამიანებს მშვიდად და ბედნიერად ეცხოვრათ.

მე არა ერთხელ შევკითხვივარ ჩემს სულის მოძღვარს, თუ რა აიძულებდა ქალბატონს, ჩემთვის, ვიღაც უცხოსათვის, ასეთი მზრუნველობა გაეწია. მასწავლებელი მარწმუნებდა, რომ ვარვარა დავიდოვნა მადლიანი ადამიანი იყო, რომ სულის სიმშვიდეს გაჭირვებულთა დახმარებაში პოულობდა. ამ ცალფეხა კაცის სიტყვით, ასეთი ადამიანები ცოტა როდი იყვნენ ამ ქვეყანაზე.

დრო მიდიოდა და ყოველი დღე, ახალ იმედებს ტოვებდა. უკან მოხედვა მეზარებოდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ კიევში ბრმა ჩამოვედი, რომ ამ ქალაქმა, ამ ქალაქის ადამიანებმა ამიხილეს თვალი, მასწავლეს ის, რაც ადამიანად დაბადებულს უნდა მცოდნოდა.

მეცხრამეტე წელში ფეხგადადგმულმა ჭაბუკმა ჩემდაუნებურად მივიხედ-მოვიხედე და მთელი გულისყური ბაღის დაბურულ ყურეში ერთ პატარა, მაგრამ კოხტა ფიცრულს მივაპყარი.

ამ ოროთახიან ფიცრულში მორომზოვის უფროსი მებაღე ცხოვრობდა. მას გამრჯე ცოლი და თექვსმეტი წლის ქალიშვილი ჰყავდა. ამ შავთვალება გოგონას ყელი შველივით ჰქონდა მოღერილი. ტანსაროს მაჯის სიმსხო ოთხი ნაწნავი კოჭებამდე სწვდებოდა. მის თეთრ სათნო სახეს თვალს ვერ ვუსწორებდი ერთ ხანს. მებაღის ქალიშვილი ლიზა მთელ ქვეყანაზე ყველაზე ლამაზად მეჩვენებოდა. არ მეგონა, ღმერთს თუ კიდევ მეორე ასეთი არსების გაჩენა შეეძლო.

მთელი წელიწადი მე ამ გოგონაზე ფიქრში გავატარე. და ბოლოს, როცა მოთმინების ფიალა აივსო, გადავწყვიტე მისთვის ჩემი გულის საწუხარი მეთქვა.

არ გაკვირვებია ლიზას, მე რომ ჩემი სიცოცხლე შევთავაზე. სახეგაბადრულმა თავი მორცხვად დახარა, გაიღიმა. იმ დღიდან ჩვენ ბაღის ერთ მიყრუებულ ყურეში ყოველ საღამოს ვხვდებოდით ერთმანეთს.

ეს დღეები იყო ჩემთვის მთელი სიცოცხლის უნეტარესი დღეები. ამ დღეებში ვიგემე წმინდა, უანგარო სიყვარულის პირველი სითბო.

ეჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ერთ ასეთ ნეტარ საღამოს, მანამდე, ვიდრე სულს ჟანგი მოეკიდებოდა, ძილს ჩავყოლოდი. ნურც გამომძიებელი და ნურც მოსამართლე იფიქრებს, თავს ვაცოდებდე ვინმეს. ანდა ამით მსურდეს თქმა, რომ გონიერი გავხდი და დარჩენილი სიცოცხლის პატიოსნად გატარება მწყუროდეს, არა, მე უგუნური არასოდეს არ ვყოფილვარ. ყოველთვის ვიცოდი, რომ ადამიანი სასიკეთო საქმისათვის არის გაჩენილი, მაგრამ მაშინ, იმ ქვეყნის უკუღმართობამ, ორთა ბრძოლაში გამომიწვია და მეც ურჩხულს ისე შევები, როგორც შემეძლო. ღმერთია მოწამე, რომ ერთხელ ამ ქვეყნიდან გაქცევაც ვცადე, მაგრამ ჩემმა წყეულმა ბედმა გზები შემიკრა. იქნებ საჭირო იყო კიდევ მეცადა ბედი.

ჩემი ბედნიერება მთელ წელიწადს გრძელდებოდა.

ლიზა ჭკვიანი და მოსიყვარულე გოგონა აღმოჩნდა, მას ძალზე უყვარდა ყვავილები. ის მამამისის ხელობას დაუფლებოდა და მშობლის ყოველდღიურ შრომას ინაწილებდა.

მე და ის, გვიან ღამე, საიმედო ადგილას განვმარტოვდებოდით და მომავალ ბედნიერებაზე ოცნებით ვეგებებოდით განთიადს.

ის გოგონა საკუთარი თავივით მენდობოდა, მაგრამ ჩვენი შუამავალი მხოლოდ კოცნა იყო და ასეთი წმინდა ტრფიალი ორთავეს გვახარებდა.

ჩემს ქალბატონს იშვიათად ვნახულობდი. ეს გულმხიარული ქალი თუ თავის ოჯახში სტუმრებთან არ ერთობოდა, დროს სხვაგან ატარებდა. ყველგან და ყოველთვის თავისი დედის ძმა ნიკოლოზ პეტროვიჩი თან ახლდა.

ერთ საღამოს ლიზა გაბადრული სახით დამიხვდა ბაღის ყურეში და მახარა:—ჩემს მშობლებს ყველაფერი გაუგიათ, მაგრამ როგორც შენს შესახებ, ისე ჩვენს ურთიერთობაზე ცუდი არაფერი უთქვამთო. მეც ძალზე კმაყოფილი დავრჩი ამ ამბით.

ცალფეხასთან სწავლას სამი წელიწადი მოვანდომე.

ჩემი მასწავლებლის თქმით, ცხოვრებასთან საჭიდაოდ მომზადებული ვიყავი.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა. მომავალს ისე ვჭვრეტდი, თითქოს ნაცნობ შარაგზას ვადექი და ვიცოდი როდის და სად შემესვენა. მჯეროდა, კეთილი ქალბატონი ჩემთვის უმიზნოდ რომ არ ირჯებოდა. ადრე თუ გვიან ცხოვრებაში ჩემს საკადრის ადგილს მომინახავდა.

ერთ დღეს ამ სანატრელი ჟამის მოახლოება ვიგრძენი და გული სიამით ამიფართხალდა.

ეს ის დღე იყო, როცა ქალბატონმა ჩემი ცალფეხა მასწავლებელი იხმო, კარგად დაასაჩუქრა და გაისტუმრა.

შვებით ამოვისუნთქე. მე, უკვე ამ ცხოვრებისათვის მომზადებულს, რაღაც საქმე უნდა მომანდონ-მეთქი, ვიფიქრე.

მართლაც, ვარვარა დავიდოვნამ იმ საღამოსვე მიხმო.

ლურჯთვალება ქალბატონი მომჯადოებელი მეჩვენა. თავის მისაღებ ოთახში მარტო დამიხვდა. მისმა უმწიკვლო სახემ გამაოცა. ასეთი მშვიდი და კმაყოფილი, ასე სათუთად პირბადრი მანამდე არ მენახა. ჩემი დანახვა და შეციებულივით შეიშმუშნა, ხელი თანატოლივით გამომიწოდა, გამიღიმა:

— ახლა შემიძლია, როგორც თანასწორს გელაპარაკო, ჰა, რას იტყვი, ხომ მართალია?—ტანის ლამაზი რხევით კუთხისკენ წავიდა, სავარძელთან შედგა, მობრუნდა, ღრმად ამოიოხრა. ამხედ-დამხედა, — კმაყოფილი ხარ თუ არა ჩემთან შეხვედრით, იგორ?

— რას ბრძანებთ, ალბათ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა მომიყვანა იმ ღამით კაფესთან,—ვუპასუხე და თავი მორჩილად დავხარე.

— ახლა, როცა თვალახელილი, ნასწავლი კაცი ხარ, იქნებ წასვლა გინდა? იქნებ გული სხვაგან მიგიწევს? ნუ დამიმალავ, ხელს შეგიწყობ, დაგეხმარები,—სავარძელში ჩაეფლო, მაგიდაზე მიმითითა, პაპიროსის კოლოფი მომეციო, მანიშნა და კვლავ ამხედ-დამხედა.

პაპიროსი და ასანთი მოწიწებით მივაწოდე.

— ჰა, რას იტყვი?—შემეკითხა, როცა პაპიროსს მოუკიდა და ასანთი მაგიდისკენ ისროლა.

— რას ბრძანებთ! — ვუპასუხე და თვალი თვალში გაბედულად გავუყარე,—მზადა ვარ მთელი სიცოცხლე გემსახუროთ. თქვენ მე იმდენი ამაგი დამდეთ, რომ...

— რომ როგორმე სამაგიერო გადამიხადო, არა?—გაიცინა.

— აბა, რა საკითხავია,—გავიკვირვე, თვალები დავხარე.

— კარგი,—თავი კმაყოფილებით დამიქნია, წამოდგა, ერთ ხანს უხმოდ შემომცქეროდა, მაგრამ ღიმილს არ იშორებდა, მერე გაიზმორა და ოდნავ გასაგონი ხმით მითხრა,—ახლა წადი, შენს ოთახში იყავი, მელოდე, დაგიძახებ.

გასასვლელისაკენ ფეხაკრეფით წავედი. როცა კარის მოსახურავად შევბრუნდი, თვალი ჩემდაუნებურად ქალბატონისაკენ გამექცა. ის ისევ იმავე ადგილზე იდგა და კმაყოფილი ღიმილით შემომცქეროდა. თუმცა ვარვარა დავიდოვნას უცნაურმა გამომეტყველებამ და საეჭვო სითბოთი სავსე თვალებმა უცხო, საფიქრებლადაც გაუბედავი რამ მაგრძნობინა, მაგრამ ეს სულ რაღაც თვალის დახამხამებაში მოხდა და მერე გულის სიღრმიდან ამომძახა ვიღაცამ—გრცხვენოდეს, იგორ! რამ გაფიქრებინა ეგ სისულელე. ზურგი ამეწვა. ქალბატონზე სათაკილო აზრი მეტეორივით მომწყდა და სადღაც ჩაიჩეხა.

ფანჯარასთან ვიჯექი და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გავცქეროდი. ჭაბუკურმა ოცნებამ ჯადოსნურ ხალიჩაზე მაფრინა ერთ ხანს. ვინ იცის, რა არ ვისურვე, რას არ წავეპოტინე, მაგრამ მე მარტო არ ვყოფილვარ. ყველგან ჩემი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად გამიზნული ლიზა თან მახლდა. ძილმა თავი წამართვა. ტანგაუხდელი მივწექი. ჩამძინებოდა.

თენდებოდა, როცა კაკუნმა გამომაღვიძა. კარი გავაღე. ჩემს წინ ევდოკია ივანოვნა იდგა. შემომხედა და შიშჩამდგარი თვალებით ჭერს მიაცქერდა, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო: ნიკოლაი პეტროვიჩმა სული უფალს მიაბარაო,— ისე ჩაილაპარაკა, თითქოს თავისთავს ესაუბრებოდა. მერე, ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ, პირჯვარი გადაიწერა:— ვარვარა დავიდოვნა იხმობს ყველას, შენც იჩქარე, ქალბატონს ნუგეში უნდა სცე,—მითხრა და გამეცალა.

ჩემი მფარველის ბიძა პირველი სართულის მისაღებ დარბაზში ესვენა. მთელი ჯალაბობა ცხედართან მოგროვილიყო. აქ იყო ლიზა და მისი მშობლებიც.

ქალბატონი შავ ტანსაცმელში უფრო ლამაზი და მიმზიდველი მეჩვენა.

მღვდლის მოყვანაც მოესწროთ. ღვთის ახალგაზრდა მსახური მიცვალებულის თავთან იდგა, ხელში წიგნი ეჭირა და ოდნავ გასაგონი ხმით ბუტბუტებდა რაღაცას. გაფითრებული ქალბატონი შინაურებს თვალს არ აშორებდა, ყველას ისე აკვირდებოდა, თითქოს მათ პირველად ხედავსო. როგორც სხვები, მეც მოვიღრუბლე, თავი დავხარე. მინდოდა ასე ვმდგარიყავ, სანამ მოძღვარი ლოცვას არ მოათავებდა, მაგრამ გულმა არ დამანება, ლიზას შეხედვა მომინდა. თავი ავწიე და თითქოს მებაღის ქალიშვილმაც იგრძნოო ჩემი გულის წადილი, ისიც წელში გაიმართა. ჩვენ ერთმანეთს სიყვარულით გამთბარი თვალებით მივაცქერდით. გაოგნებულივით ვიდექით ასე, ვიდრე არ ვიგრძენი, რომ აქ ჩვენი ასეთი გატაცება უადგილო იყო. თავი დავხარე და რატომღაც ქალბატონს ქურდულად გავხედე. შევძრწუნდი, ვარვარას ლამაზი სახე საოცრად მოღრუბლოდა. სათნო თვალებში ბოროტი ზრახვა უელავდა. ნესტოები ისე დაბერვოდა, თითქოს დასიცხულს სუნთქვა უჭირსო. თვალი თვალში გამიყარა და მერე მზერა ამარიდა. გოგონას ზიზღით ახედ-დახედა. მერე ლიზას მამას ხელი დაუქნია, იხმო, წელში მორჩილებით მოხრილს რაღაც ჩასჩურჩულა. მებაღე სწრაფად შებრუნდა, ქალიშვილს მკლავში ხელი მოჰკიდა და გაიყოლა.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. დამსიცხა, მჯეროდა, რომ ლიზა წრფელი გულით მიყვარდა. თუმცა მაშინ ამ ცხოვრების ბნელ მხარეს არცთუ ისე კარგად ვიცნობდი, მაგრამ არც ისეთი უთვალთმაქცო ვიყავი არ მცოდნოდა, რას ნიშნავდა ვარვარას ასეთი უსიტყვო შემოტევა, როცა ამას ქალბატონის არც ისე ძნელად მისახვედრი საქციელი უძღოდა.

საგონებელმა წამიღო. ვაი თუ ჩემმა პატრონმა ჩემი და ლიზას გათიშვა განიზრახა-მეთქი, ვიფიქრე.

მიცვალებული დიდი პატივით დაასაფლავეს.

იმ საღამოს დაღლილი ჯალაბობა ადრე დაწვა. მეც ვივახშმე და დაწოლას ვაპირებდი, როცა ქალბატონმა მიხმო. გული უჩვეულოდ მიფართხალებდა — ალბათ, ლიზას შესახებ უნდა მელაპარაკოს-მეთქი, ვფიქრობდი და პასუხს ვეძებდი.

ვარვარა დავიდოვნამ ისე მიმიღო და ისეთი გამომეტყველებით შემხვდა, როგორც დამწუხრებულ მანდილოსანს შეშვენის.

— მე თქვენ სერიოზული საქმე უნდა მოგანდოთ, მაგრამ სანამ ამ საქმეს შევუდგებოდეთ, საჭიროა ჩემს მამულს გაეცნოთ ტარანოვკაში·—ტახტზე ნახევრად წამოწოლილი პაპიროსს აბოლებდა და ოდნავ გასაგონი ხმით მელაპარაკებოდა.

მე თავი მორჩილებით დავხარე, დილითვე გავემგზავრები-მეთქი, ვუპასუხე. რაც ადრე წახვალ, უკეთესიაო, მითხრა და დასძინა:

— ნახე, რას აკეთებს მოურავი. შეამოწმე როგორია ნათესები, რამდენია ნამატი ცხენის ჯოგში. ერთი სიტყვით, არაფერი გამოგრჩეს შეუმოწმებელი. დაბრუნდები, საქმის ვითარებას მომახსენებ და გამაგებინებ, თუ რა შეგიძლია, რაში გამოდგები, — წამოდგა, თვალი ქურდულად შემავლო და ოთახიდან გავიდა.

... დილით ავდექი და მსახურმა, სამცხენა გელითო, მითხრა.

არ მომეწონა ასეთი სიჩქარე, მაგრამ რა უნდა მექნა. ვისაუზმე და გზას გავუდექი.

ტარანოვკაში ორი კვირა დავყავი.

(გაგრძელება იქნება)



# ამორძალები

ამორძალები ანუ ამაზონები ლეგენდარულ ქალთა სახელწოდებაა. ზოგიერთი უცხოური წყარო მათ ქართველ ქალებად მიიჩნევს. ბერძნების გადმოცემით, ამორძალების სამეფოდ ითვლებოდა შავი ზღვის სანაპიროები ბათუმიდან სტამბოლამდე. ამ სამეფოში მამაკაცები არ ცხოვრობდნენ, ქალები კი შესანიშნავი მებრძოლნი და მოისარნი იყვნენ. ზოგიერთ ბერძენ-რომაელ ისტორიკოსს მათ საცხოვრებელ ადგილად მითითებული აქვს შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო,— კავკასიის მთიანი მხარე. ამ ქალთა ცხოვრების შესახებ გადმოცემები თავმოყრილია ვ. ლატიშევის, კ. განის, პ. უსლარისა და ქართველ მოღვაწეთა მთელ რიგ ნაშრომებში.

ერთ-ერთი თქმულება შეეხება ამაზონ თალისტრიას თავგადასავალს. ამ თქმულების შინაარსი ასეთია:

შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები მამაკაცები აზიაში წავიდნენ საომრად. შინ დარჩნენ ბერიკაცები, ბავშვები და ქალები. ომი დიდხანს გაგრძელდა, უკაცო ქვეყანაში დარჩენილ დედაკაცებს მოუხდათ ყოველგვარი საქმის გაკეთება. მუშაობაში მათ ბერიკაცებიც უწევდნენ დახმარებას, მაგრამ ისინიც მალე გაიწვიეს საომრად. სოფელში მძვინვარებდა შიმშილობა, ავადმყოფობა, გახშირდა მეზობელ ტომთა თავდასხმები.

ერთმა ქალმა, რომელსაც თალისტრია ერქვა, უმამაკაცოდ დარჩენილი ქალების მეთაურობა იკისრა. მისი ხელმძღვანელობით ქალებმა დაიწყეს მშვილდისრის სროლის შესწავლა, მაგრამ მათ მიერ გასროლილი ისრები მრუდედ მიდიოდა. ზუსტად სროლაში ქალებს მარჯვენა ძუძუ უშლიდა ხელს. თალისტრიამ მარჯვენა ძუძუ დაიწვა და სხვებიც აიძულა ასევე მოქცეულიყვნენ. ბრძანების შესრულების შემდეგ მეთაურმა ასეთი სიტყვებით მიმართა ქალებს: ამიერიდან თქვენ გერქმევათ უძუძონი (ამორძალები) და შიშველნი ივლით, რათა შავი ზღვის ამინდის ცვალებადობას შეეჩვიოთ.

როდესაც ამორძალები კარგად გაიწაფნენ ცხენოსნობასა და მშვილდოსნობაში, თალისტრიამ მათგან მებრძოლი რაზმი შეადგინა. ეს რაზმი მახლობელ მხარეში დაბინავებულ მამაკაც-მწყემსებს დაესხა თავს და მათ ცხენების ჯოგი წაართვა, უკანვე დაიბრუნა გატაცებული ქონება.

ომიდან დაბრუნებული მამაკაცები ამორძალებმა მთლიანად ამოხოცეს. ამის შემდეგ თალისტრიამ გასცა ბრძანება: ქალები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან მამაკაცებთან კავშირში, სასტიკად დაისჯებიანო.

ამორძალთა სამეფოში მეზობელ ქვეყნიდან მოვიდნენ მწყემსთა მოციქულები, მათ მოიტანეს უამრავი ძღვენი და ამორძალთა მეთაურს მოახსენეს: თქვენმა ქალებმა აგვიკლეს, გვტაცებენ ქალებს, მამაკაცებს კლავენ, მოვედით, რათა შემწეობა გთხოვოთო.

თალისტრიამ მწყემსებს დაუბრუნა ტყვე ქალები, მაგრამ მამაკაცთა დანახვამ ამორძალთა მეთაურში ქალური გრძნობები გააღვიძა. ამან აიძულა იგი შემდეგი განკარგულება გაეცა: ქალთა სამეფოს გამრავლების მიზნით, ამორძალებს უფლება ეძლევათ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე, ორი თვით წავიდნენ მამაკაცებთან ჭალაში და იქ მოაწყონ „ქორწილის ღამეები" (ორგია), ვინც ორსული დაბრუნდება, განთავისუფლებული იქნება სამუშაოსაგან. დაბადებული ქალები ამორძალებთან დარჩებიან აღსაზრდელად, ვაჟები კი მამაკაცებს გადაეცემათ.

თალისტრიას განკარგულებას ამორძალები სიხარულით შეეგებნენ. იმავე წლის გაზაფხულზე ისინი მამაკაცებს შეხვდნენ. ორგიის დამთავრების შემდეგ ამორძალთა მეთაურმა განაცხადა, რომ იგი არ გრძნობს ორსულობას, ამიტომ იძულებულია თავისი ქმარი სასახლეში წაიყვანოს.

ამ ამბავმა ამორძალ ქალებში მეთაურის მიმართ შურისძიების გრძნობა აღძრა, მათ მოაწყეს შეთქმულება და თავიანთი მეთაური და მწყემსი მოკლეს.

ამორძალების ცხოვრება და ადათ-წესები კარგად არის აღწერილი ასურულ თქმულებაში „ალექსანდრე მაკედონელი და ამორძალები", რომელიც სირიაში გავრცელებულა ფსევდო-კალისთენის „ალექსანდრიანის" წყალობით. თქმულება მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელს გადაუწყვეტია ამორძალების ქვეყნის ნახვა. ეს გადაწყვეტილება მას წერილობით უცნობებია ამორძალებისთვის. ალექსანდრე მაკედონელს მალე ასეთი საპასუხო ბარათი მიუღია:

„ჩვენ ბუნებით ქალები ვართ, მაგრამ სიმხნით მამაკაცებს ვჯობივართ. ვცხოვრობთ კუნძულზე, რომელიც მდებარეობს მდინარე ამაზონის შუა ნაწილში. ამ მდინარის გარშემო მოედინება კიდევ სხვა მდინარე, რომლის სათავე და შესართავი არავისთვის ცნობილი არ არის. მას აქვს ერთად-ერთი ფონი, რომლითაც შეიძლება ჩვენთან მოსვლა.

ჩვენ, კუნძულის მცხოვრებნი, ქალიშვილები ვართ, ყველანი ორასოთხმოცი ათასი ვიქნებით. ჩვენ შორის მამაკაცები არ არიან, და, საერთოდ, კუნძულზე მათი ხსენებაც კი არ არის"...



თქმულებანი ამორძალ ქალთა შესახებ ანტიკური ხანის ხალხებში მეტად პოპულარული იყო. ეს თქმულებები შემოუნახავთ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს, მოგზაურებსა და მწერლებს, აგრეთვე ქართულ საისტორიო წყაროებსაც. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში ლეგენდარულ ამორძალებს იხსენიებს გეოგრაფი სტრაბონი. თავისი „გეოგრაფიის" მეთერთმეტე წიგნის მეხუთე თავში იგი წერს: „ამბობენ, რომ ალბანიის ზემოთ მთებში ცხოვრობენ ამაძონები". პომპეუსის თანამოლაშქრე — ისტორიკოსი თეოფანე ამბობს: „ამაძონებსა და ალბანებს შორის სკვითებ-გელები და ლეგები ცხოვრობდნენ, მოედინება აქ მდინარე მერმადალისი ამათსა და ამაძონებს შორის, პირდაპირ შუაში".



სხვა ავტორები, მაგალითად, მეტროდორე სკეფსისელი და ჰიფსიკრატე გადმოგვცემენ, რომ ამაზონები გარგარევლების მეზობლად ცხოვრობენ, კავკასიონის მთის ფერდობზე, რომელიც კერავნიად იწოდება. ამორძალთა საქმიანობას შეადგენს: ხვნა-თესვა, საძოვართა მოვლა. უმამაცესი ამორძალები ცხენებზე შემხდარნი ეწევიან ნადირობას, ისინი სისტემატურად ვარჯიშობენ, რათა მტერი ადვილად დაამარცხონ. ამორძალები ოსტატურად ხმარობენ მშვილდს, ცულსა და ფარს, მუზარადებს, მოსახურავებსა და ქამრებს ცხოველთა ტყავებისაგან იკეთებენ.

სტრაბონის თქმა „ამბობენო", იმას გვეუბნება, რომ ამორძალების ამბავი მას სხვისგან გაუგონია. შემდეგ კი სტრაბონის სიტყვებს იმეორებენ ბიზანტიელი და რომაელი ისტორიკოსები ჰეროდოტე, აპალონიოს როდოსელი, არიანე, პროკოფი კესარიელი და სხვები.

ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ საისტორიო ძეგლებში სხვადასხვა საინტერესო ცნობები გვხვდება ამორძალების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი", რომელიც XI-XII საუკუნეებში ქართულად უთარგმნია არსენ ვაჩეს ძეს.

თქმულებანი ამორძალების შესახებ გადმოცემული აქვს ჟან შარდენსა და არქანჯელო ლამბერტსაც.

მეცნიერ-მკვლევარები ამორძალთა ნათესაობას უკავშირებენ ქართველ ქალებს, რადგან მათი, ისევე როგორც ქართველი ქალების, საქმიანობას შეადგენდა: მიწათმოქმედება, პირუტყვის მოშენება (განსაკუთრებით ცხენებისა), მშვილდისრის საუკეთესოდ ხმარება, ნადირობა, ლაშქრობა და ა. შ.

ამორძალების არსებობის სინამდვილე მეცნიერულად არ არის დამტკიცებული. მით უმეტეს არ შეიძლება თქმა იმისა, თუ რა ეროვნებისანი იყვნენ ისინი.

თუ კი არსებულ გადმოცემებს ოდნავ მაინც დაეჯერება, შეიძლება ვივარაუდოთ ამორძალების ნათესაობა ქართველ ქალებთან. ქართველი ქალებიც ხომ ისეთივე მებრძოლნი, მოისარნი, სტუმართმოყვარენი და საუკეთესო ცხენოსნები იყვნენ, როგორც ლეგენდარული ამორძალები. ქართველი ქალებიც ხშირად მიდიოდნენ ბრძოლის ველზე და გმირულად ებრძოდნენ მტერს თავიანთი სამშობლოს დასაცავად.

დავით ქორიძე

## პირველი მთასვლელი ქალები

ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოა. 1923 წელს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მთასვლურ სპორტს.

პირველ მთასვლელთა შორის, რომლებიც 1923 წელს პროფესორ გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდნენ, იყვნენ ქართველი ქალები: ე. ლორთქიფანიძე, ა. ნიკოლაიშვილი, მ. ბეჟანიშვილი, მ. ტყავაძე და ლ. ჩხეიძე.

რამდენიმე დღის შემდეგ ა. დიდებულიძის ექსპედიციასთან ერთად მყინვარწვერზე ავიდა ალექსანდრა ჯაფარიძე.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრა ჯაფარიძემ მრავალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში. მთიანი რაიონების მეტეოროლოგიური და რელიეფური თავისებურებების კარგად მცოდნემ — ა. ჯაფარიძემ სამამულო ომის წლებში წარმატებით შეასრულა ამიერკავკასიის ფრონტის მეტად რთული საბრძოლო დავალება. ამ დამსახურებისათვის იგი „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს.

დიდ სპორტულ წარმატებებს მიაღწიეს მთასვლელმა ქალებმა: თ. ავალიანმა, ვ. ბელეცკაიამ, ვ. ნასონოვამ, ნ. ცნობილაძემ და სხვებმა.

ოქტომბრის რევოლუციამდე მარიამ პრეობრაჟენსკაია ერთადერთი ქალი იყო, რომელიც მყინვარწვერზე ავიდა და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

ჩვენს ქვეყანაში ახლა ათასობით მთასვლელი ქალია. თავიანთი ოსტატობითა და გამბედაობით მათ მთელს მსოფლიოში დამსახურებულად დაიმკვიდრეს ყველაზე უძლიერესთა სახელი.

## სხვადასხვა

საბერძნეთში არის მსოფლიოში ყველაზე საოცარი მდინარე ავიარი. ეს მდინარე ექვსი საათის განმავლობაში ზღვისაკენ მიედინება, მომდევნო ექვსი საათი კი საპირისპირო მიმართულებით იწყებს დენას.

მდინარის ასეთი უცნაური თვისება პერიოდულად მეორდება.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მდინარის წაღმა-უკუღმა დენა ზღვის მიქცევითა და მოქცევით არის გამოწვეული, რის გამოც საგრძნობლად მერყეობს ეგეოსის ზღვის დონე.

* * *

მსოფლიოში პირველი ავტომატი-გამყიდველი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში დაამზადეს. 50 წელს ძვ. წელ. აღ. ალექსანდრიის ქუჩებში დადგმული იყო ასეთი ავტომატები. მათში ფულის ჩაყრის შემდეგ ავტომატები გამვლელებს დასალევი წყლის ულუფას აწვდიდნენ.

* * *

ინდოეთში ჰყავთ ყველაზე უცნაური დარაჯები, რომლებიც ფხიზლად იცავენ სახლებს, საწყობებსა და მაღაზიებს. ეს მცველები გაწვრთნილი გველები არიან.

როგორც კი ქურდი მაღაზიაში შეიპარება, მის წინ მოულოდნელად აღიმართება უზარმაზარი გველი. შეშინებული ქურდი იძულებული ხდება ყვირილი ატეხოს და საშველად მოუხმოს ადამიანებს.

* * *

მთელს მსოფლიოში ყველაზე ორიგინალური ძეგლი კანადაშია აღმართული. ძეგლი წარმოადგენს გიგანტურ ბუშტს, რომლის დიამეტრი 9 მეტრია. ეს ძეგლი მიძღვნილია .. ყველისადმი.

1890 წელს ჩიკაგოში გაიმართა კვების პროდუქტების საერთაშორისო გამოფენა, სადაც ოტაველმა ყველის დამამზადებლებმა უზარმაზარი ყველი გააგზავნეს.

ყველის დამზადებას, რომლის დიამეტრი 9 მეტრი იყო, დაახლოებით 10 ათასი ლიტრი რძე დასჭირდა.

ყველმა მიიღო გამოფენის სპეციალური დიდი პრიზი, სწორედ ამ გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა გიგანტური ყველის ძეგლი.




ნახატი-ხუმრობა ა. კანდელაკისა.

## ადამიანის სისხლის ძარღვები

ადამიანის სხეულში 100-160 მილიარდი უმცირესი სისხლის ძარღვია. ამ ძარღვებს კაპილარებს უწოდებენ. კაპილარების საერთო სიგრძე 60-80 ათას კილომეტრს აღწევს. ადამიანის ყველა კაპილარი რომ ერთმანეთს გადავაბათ, მივიღებთ უგრძელეს ძაფს, რომელიც ორჯერ შემოუვლის დედამიწას.

## რამდენი ტყეა დედამიწაზე

დედამიწაზე ტყეს დიდი ფართობი უჭირავს — 3,8 მილიარდი ჰექტარი. ყველაზე მეტი ტყე საბჭოთა კავშირს აქვს: მსოფლიო მარაგის 20 პროცენტი, აშშ — 17,1 პროცენტი, სამხრეთ ამერიკის ყველა სახელმწიფოს — 23,2 პროცენტი.

## კალიბრი

ყველაზე პატარა ფრინველია კალიბრი. იგი ერთობ ღორმუცელაა. თავისი წონის ერთეულთან შეფარდებით, 100-ჯერ უფრო მეტს სჭამს, ვიდრე სპილო. კალიბრმა 6-8 საათის განმავლობაში რომ არაფერი ჭამოს, შიმშილისაგან მოკვდება.

როგორღა ძლებს უჭმელი ფრინველი მთელი ღამის განმავლობაში?

ღამით კალიბრი „იყინება". მისი ტემპერატურა ნელნელა იკლებს და ჰაერის ტემპერატურას უტოლდება. ამის შედეგად ნივთიერებათა ცვლა 10-15-ჯერ ნელდება. დილით კალიბრი ისევ „ცოცხლდება" და გულმოდგინედ იწყებს საკვების ძებნას.

გარეკანის პირველ გვერდზე: ახალგაზრდა კინომსახიობი კ. ანდრონიკაშვილი. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

მეოთხე გვერდზე: ხვნა დაიწყო. ფოტო გ. თიკანაძისა.

რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III-62 წ. გამომც. № 24, ქაღ. ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000. შეკვ. № 484, უე 05109

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

# მოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს მოდელების სახლის საგაზაფხულო-საზაფხულო ტანსაცმლის ნიმუშები.



ნახატი დ. ნოდიასი.

ფოტო ო. თურქიასი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა